პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

1979 წელი
სამშაბათი
27 მარტი
№ 72 (17417)
ფასი 2 კაპ.

# იხაროს ნერგმა

ყველაფერი თავის დროზე იძლევა ნაყოფს, მაგრამ ეს ყველაზე მეტად ვაზსა და ხეხილზე ითქმის. ამიტომ არის, რომ თითოეულ ჩვენგანს გოგებაშვილის „დედა ენიდან" გულში ჩარჩა შვილიშვილისათვის პაპის ნათქვამი: შეიძლება ამ ნამყენის ნაყოფს მე ვერ მოვესწრო, მაგრამ სხვები მოესწრებიან, გაიხარებენ და მადლობით მომიგონებენო.

შარშან მზრუნველმა ხელმა რესპუბლიკაში გააშენა 4.055 ჰექტარი ბაღი, 1.187 ჰექტარი ჩაის პლანტაცია, 5.142 ჰექტარზე ჩაყარა ვაზი. ეს უცილოდ კარგი მეურნეობრიობის, წინ ხედვის დასტურია. ამ მხრივ თავი გამოიჩინეს ხაშურის, ახმეტის, მცხეთის, ადიგენის და სხვა რაიონების მეხილეებმა; საგარეჯოელმა, გურჯაანელმა, თელაველმა, მარნეულელმა მევენახეებმა; ზუგდიდელმა, მახარაძელმა, ქობულეთელმა მეჩაიეებმა და მეციტრუსეებმა.

წლითიწლობით უმჯობესდება რესპუბლიკაში მრავალწლოვანი კულტურების ხარისხოვანი ნერგის წარმოების საქმე. მაგალითად, შარშან სახელმწიფო სანერგე მეურნეობებმა 5.588 ათასი ძირი ხეხილის ნერგი გამოიყვანეს ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 4.797 ათასი ძირისა, ნერგის წარმოების გეგმები დიდი გადამეტებით შეასრულეს გურჯაანის, ლაგოდეხის, ბოლნისის და სხვა რაიონების სანერგე მეურნეობებმა.

ეს სასიკეთო და საშვილიშვილო საქმეა, რომელიც დღეს განსაკუთრებით სჭირდება ჩვენს რესპუბლიკას.

ამიტომ ბუნებრივია ის დიდი საქმიანი გამოხმაურება, რომელიც გამოიწვია ამას წინათ პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე იმის აღნიშვნამ, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ამზადებენ საგანგებო დადგენილებას ჩვენს რესპუბლიკაში სამხრეთული კულტურების და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების ზრდის ღონისძიებათა შესახებ.

აღნიშნული დოკუმენტი ჩვენი სიამაყის — ვაზის, ჩაის, ციტრუსების და მაღალხარისხოვანი ხილის წარმოების შემდგომი გადიდების უახლოესი და უფრო შორეული პერსპექტივის მიჯნებს განსაზღვრავს.

სამწუხაროდ, მეჩაიეობის, მევენახეობისა და მებაღეობის ყველა რაიონში როდი აფასებენ ჭეროვნად ბაღ-ვენახებისა და ჩაის პლანტაციების გაშენების დიდ სოციალურ-პოლიტიკურ მნიშვნელობას.

ამის შედეგია, რომ შარშან რესპუბლიკაში ვერ შესრულდა ვენახის, ხილის ბაღების და ჩაის პლანტაციების გაშენების გეგმები.

შეშფოთებას იწვევს ის ფაქტი, რომ ზოგ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში ბაღ-ვენახების გაშენებისათვის განკუთვნილ ფართობებში თესავენ საგვიანო კულტურებს, რომელთა მოსავალს დეკემბრის მიწურულში იღებენ და ამის გამო საბაღედ ნიადაგის მომზადებას ვეღარ ასწრებენ. აგროტექნიკის მიხედვით კი ნიადაგი ნერგის დარგვამდე 8 თვით ადრე ღრმად უნდა მოიხნას. მაგალითად, ზნაურის რაიონის ველების მეხილეობის საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი — მ. ფუხაევი) 110 ჰექტარ ფართობზე, სადაც ხეხილი უნდა გაეშენებინათ, სამარცვლე სიმინდი დათესეს და მოსავლის აღება დეკემბრამდე გააჭიანურეს, რის გამოც ბაღის გაშენების გეგმაც ჩაიშალა. საბაღე ნაკვეთის მომზადებაში ასეთივე უპასუხისმგებლობა გამოიჩინეს და გეგმებიც ჩაშალეს ქარელის რაიონის დაბა ქარელის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე — უ. ნადირაძე), ლენინგორის რაიონის ზაყორის საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი — კ. დრიაევი), დუშეთის რაიონის მჭადიჯვრის საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი — ქ. ხომასურიძე). სამწუხაროდ, შარშანდელი ეს ცუდი პრაქტიკა ზოგან წლეულსაც მეორდება. მაგალითად, ქარელის რაიონის მაღხაზისწყვერის მეხილეობის კომპლექსში საბაღედ განკუთვნილ ფართობებში საგვიანო კულტურებს თესავენ და ამით წინასწარ ხელოვნურად ქმნიან ბაღის გაშენების გეგმის ჩავარდნის პირობებს.

შეუწყნარებელია აგრეთვე ისიც, როცა საბაღედ გამოყოფენ ნაკვეთს, რომელიც სარწყავი წყლით არ არის უზრუნველყოფილი. ასე მოიქცნენ, მაგალითად, თეთრი წყაროს და ახალციხის რაიონებში. გორის რაიონის შინდის-ვარიანის მეხილეობის კომპლექსში კი ბაღი გააშენეს და გასასარწყავებლად ნაკვეთი მერე გადათხარეს. ამ საქმეში ბრალი მიუძღვის რესპუბლიკის მელიორაციის და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, რომელსაც აქ ჯერ კიდევ 1976 წელს უნდა დაემთავრებინა დახურული სარწყავი სისტემის მშენებლობა.

მოსავალი ნერგით იწყება. ნერგის დარგვა-გახარებაზე დიდად არის დამოკიდებული ბაღ-ვენახის ეფექტიანობა. ამიტომ არ უნდა დავიშუროთ სასუქები, განსაკუთრებით ორგანული, მრავალწლოვანი კულტურების გასაშენებელი ფართობის წინასწარ გასანოყიერებლად. საჭიროა ამ მიზნით პატივის დეფიციტის შესავსებად გამოვიყენოთ გამდიდრებული ტორფი, რათა შევქმნათ ყველა პირობა იმისათვის, რომ ახალგაშენებული თითოეული ჰექტარი აკმაყოფილებდეს ინტენსიური მებაღეობა-მევენახეობისა და მეჩაიეობის მოთხოვნებს.

რესპუბლიკაში ხილის ბაღების და ვენახების გაშენების ტემპის გასაძლიერებლად საჭიროა „საქბაღვენახპროექტმა" დროულად უზრუნველყოს მეურნეობები სათანადო პროექტებით. ამასთან მას ამ საქმეში ადგილებზე უფრო მეტად უნდა შეუწყონ ხელი ნაკვეთების დროული გამოყოფით.

უნდა აღიკვეთოს ისეთი პრაქტიკა, როცა ზოგან მეურნეობათა ხელმძღვანელები პროექტით გათვალისწინებულ ჯიშებსა და ჯიშებს არ აშენებენ. დროა სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მოაგვაროს ბაღ-ვენახების გაშენების პერსპექტიული პროექტირება, რათა პროექტის შედგენა სულ მცირე 2 წლით უსწრებდეს მის განხორციელებას; აღნიშნული პროექტის საფუძველზე დროულად უნდა ხდებოდეს სანერგე მეურნეობებში საჭირო ჯიშებისა და რაოდენობის სანერგე მასალის დაკვეთა.

მართალია, ბოლო წლებში მთლიანად გადაიჭრა რესპუბლიკაში ვაზისა და ხეხილის ნერგის წარმოების პრობლემა, მნიშვნელოვნად ამაღლდა ხარისხიც, მაგრამ შარშან სანერგე მეურნეობებმა ვაზის ნერგის წარმოების გეგმის შესრულებას 8.700.000 ძირი დააკლეს. ამასთან ნერგის წარმოების გეგმა არ შესრულდა ცალკეული ჯიშების და საძირეების მიხედვით. ხოლო ზოგიერთი უნიკალური ჯიშის ნერგი საერთოდ არ უწარმოებიათ. ჯერ კიდევ მეტ კონტროლს საჭიროებს ნერგის ხარისხი. მაგალითად, სვირის, თერჯოლის, ზესტაფონის სანერგე მეურნეობებში გარდა იმისა, რომ გეგმები ვერ შეასრულეს, არასტანდარტული ნერგები გამოიყვანეს, მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებისათვის უფრო ქმედითი ღონისძიებების განხორციელება მართებთ ყვარლის, თელავის და ჩოხატაურის სანერგე მეურნეობებს, რომლებმაც ნერგის წარმოების გეგმები ვერ შეასრულეს.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ბოლო წლებში დასავლეთ საქართველოს რაიონებმა უპასუხისმგებლობა გამოიჩინეს ვენახების გაშენების საქმეში. შარშან თერჯოლის, გეგეჭკორის, საჩხერის, ვანისა და აფხაზეთის ასსრ რაიონებში ვენახის გაშენების გეგმა მხოლოდ 2-29 პროცენტით შეასრულეს, ხოლო ორჯონიკიძის რაიონში გეგმა მთლიანად ჩაშალეს.

ეს იმის შედეგია, რომ ადგილებზე სპეციალისტები და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები სათანადო ყურადღებას არ უთმობენ სავენახე ფართობების მომზადებას, მათ წინასწარ აგროქიმიურ გამოკვლევას და, საერთოდ, ვენახების გაშენების აგროტექნიკის დაცვას.

აღნიშნული მდგომარეობა მოწმობს, რომ დასახელებული რაიონების პარტიული ორგანიზაციები დამაკმაყოფილებლად არ მუშაობენ „დასავლეთ საქართველოს მევენახეობის მდგომარეობისა და მისი შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესასრულებლად.

ჩაის ფოთლის დამზადების გეგმის განუწყვეტელი ზრდა, მეჩაიეობის ხვალინდელი დღე გვავალებს განსაკუთრებული გულისყურით მოვეკიდოთ ჩაის პლანტაციების გაშენების გეგმების შესრულებას. მაშასადამე, ვერ შევურიგდებით იმ გარემოებას, რომ შარშან ჩაის პლანტაციის გაშენების გეგმა ჩაიშალა. ამ საქმეს ჭეროვანი ყურადღება არ ექცევა სამტრედიის, წყალტუბოს, ზესტაფონის, აფხაზეთის ასსრ რაიონებსა და ჭიათურის ზონაში.

გაზაფხულის პირველი თვე — მარტი იწურება. დღითი დღე მატულობს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ტემპი. სანერგე მეურნეობები ვაზის მყნობას შეუდგნენ. გურჯაანის, წითელწყაროს, სიღნაღის, დუშეთისა და სხვა რაიონებში ასობით ჰექტარზე ვენახები გაშენდა.

პარტიულმა კომიტეტებმა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა გადაჭრით უნდა გააძლიერონ ორგანიზატორული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა ბაღ-ვენახებისა და ჩაის პლანტაციების გაშენების წლევანდელი გეგმების უთუო შესრულებისა და ხუთწლედის წინა 3 წელიწადში დაშვებული ჩამორჩენის აღმოფხვრისათვის.

## ხუთწლედის ადამიანები

### გამრჯე მარჯვენით



ქამვოლ-მაუდის კომბინატი „საბჭოთა საქართველო" თბილისის ერთ-ერთი უმსხვილესი საწარმოა. მის კოლექტივს ღირსეული წვლილი შეაქვს ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობის წარმატებაში. კომბინატის განახლებულ უბნებზე და საამქროებში ასობით სახელმოხვეჭილი ადამიანი შრომობს. მათ შორის არის ოცი წლის მქსოველი თინა კურცხალიაც. ზესტაფონელმა ქალიშვილმა 1975 წელს, საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მიაშურა კომბინატს და მალე მოწინავეთა რიგებში ჩადგა. თინა თბილისის მსუბუქი მრეწველობის ტექნიკუმის საღამოს ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტია.

სურათებზე: ზემოთ — თ. კურცხალია; კომბინატ „საბჭოთა საქართველოს" საამქროების ხედები.

ა. საპაკოვის ფოტო.





## წარმოების მაღალი კულტურისათვის

# მართავს ავტომატიზებული სისტემა

თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატში" მთლიანად „დამკვიდრდა" მართვის ავტომატიზებული სისტემის პირველი რიგი, რომელმაც ბევრი სიკეთე მოიტანა. იგი კონტროლს უწევს ბრძანებების, დირექტივების, მითითებების შესრულებას და მათი დარღვევის შემთხვევაში „ტეხს განგაშს". მართვის სისტემა შეახსენებს ხოლმე ელექტრიკოსებს, თუ რომელი საამქროს კოლექტივმა რა დროისათვის უნდა შეასრულოს შეკვეთა, „საჭაროზე გამოჰყავს" წუნის მკეთებელი და მის გვარს ელექტრონის დაფაზე წერს, თანაც ხელფასს უწერს მუშებს და საწარმოო მაჩვენებლების აღრიცხვას უწყვეტად განაგრძობს.

თბილისის მართვის ავტომატიზებული სისტემა საუკეთესოდ ცნეს საკავშირო გაერთიანება „საქელექტროაპარატში" შემავალ საწარმოთა შორის. ყურადღებას იმსახურებს მისი მომზადების მაღალი ტექნიკური დონე, სისტემის მათემატიკური და პროგრამული აღჭურვის ხარისხი. დადებითი შეფასება მიიღო აგრეთვე სისტემის ნორმატიული მეურნეობის გაძღოლის პროცესმა. თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატი" ჯერჯერობით კავშირში ერთადერთია, რომელმაც შეძლო მასში შემავალ ყველა ქარხანაში დაენერგა მართვის ავტომატიზებული სისტემა.

მეთაური საწარმოდან გადაწყვეტილების მისაღებად ქარხნებს ინფორმაციას უგზავნიან და გადამუშავებულს გაერთიანების აპარატს უბრუნებენ.

მართვის ავტომატიზებული სისტემის პირველი რიგის დანერგვით მიღებული ეკონომიკური ეფექტი 330 ათას მანეთს შეადგენს. ახლა დღის წესრიგში მართვის მეორე რიგის დანერგვა დგას. სამუშაოები, რომლებიც ამ მიმართულებით ხორციელდება, ხუთწლედის ბოლოსათვის უნდა დამთავრდეს. მეორე რიგს უფრო რთული ამოცანები „ეკისრება": იგი უნდა დაეხმაროს ელექტრიკოსებს ძირითადი საწარმოო პროცესებისა და ხარისხის მართვის ოპერატიულ გადაწყვეტაში.

ავტომატიზებული სისტემის დანერგვა დაკავშირებულია ბევრ რთულ საწარმოო და საორგანიზაციო საკითხთან. აქ გვერდს ვერ აუვლი ფსიქოლოგიური ბარიერის გადალახვის აუცილებლობასაც. მხედველობაშია მისაღები ადამიანთა დამოკიდებულება პრინციპულად ახალ ტექნიკასთან, წარმოების მომზადების დონე, მისი მაღალმწარმოებლური ტექნიკით აღჭურვა. თუმცა ამ მიმართულებით აქ ზოგიერთი რამ უკვე გაკეთდა: გაერთიანების საწარმოებს შეემატა ახალი ავტომატიზებული ტექნოლოგიური ხაზები, რომლებიც მარეგულირებელი მექანიზმის დეტალებს ამზადებენ, დაინერგა ელექტროგამშვების ასაწყობი კონვეირები, საწნეხი ავტომატები და მრავალი სხვა სიახლე.

შ. ამაშუკელი,
„კომუნისტის" კორ.

# კვარტალის დავალება — ვადამდე

ცხაკაიას რაიონის მეცხოველეებმა ვადაზე ადრე გაანაღდეს რძისა და კვერცხის დამზადების პირველი კვარტალის სოციალისტური ვალდებულებები. 15 მარტისათვის, ნაცვლად ვალდებულებით ნავარაუდევი 3.460 ცენტნერისა, სახელმწიფოს მიეყიდა 3.472 ცენტნერი რძე, რაც 634 ცენტნერით მეტია გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით.

ამავე პერიოდში სახელმწიფოს 460.000 ცალით მეტი კვერცხი მიეყიდა, ვიდრე ამას პირველი კვარტალის გეგმა ითვალისწინებდა.

რძის დამზადებაში დაწინაურდნენ მეცხოველეობის სამეურნეობათაშორისო გაერთიანების (თავმჯდომარე — ო. კოხია) და ახალსენაკის დაფნის საბჭოთა მეურნეობის (დირექტორი — მ. ტაბაღუა) მშრომელები, ხოლო კვერცხის დამზადებაში, როგორც ყოველთვის, სასახელო მაჩვენებლები აქვს მეფრინველეობის სანაშენე რეპროდუქტორის (დირექტორი — ო. შალამბერიძე) შრომითს კოლექტივს. რაიონში კარგად მიმდინარეობს ხორცის დამზადებაც.

ეს რედაქციას აცნობა საქართველოს კომპარტიის ცხაკაიას რაიკომის პირველმა მდივანმა ვ. ესვანჯიამ.

# ვიზიტი დამთავრდა

დამასკო, 26 მარტი. (საკდესი). 25 მარტს აქ გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოსა და სირიის პრეზიდენტის ჰ. ასადის მესამე საუბარი.

საუბრის დროს გაგრძელდა ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობის, აგრეთვე საბჭოთა კავშირ-სირიის თანამშრომლობის საკითხების განხილვა. საუბარმა სრული ურთიერთგაგების სულისკვეთებით ჩაიარა.

ჰ. ასადმა საუზმე გაუმართა ა. ა. გრომიკოს. საუზმეზე იყვნენ სირიისა და საბჭოთა კავშირის ოფიციალური პირნი.

* * *

დღეს სირიის არაბთა რესპუბლიკაში ხანმოკლე ვიზიტის დამთავრების შემდეგ ა. ა. გრომიკო სამშობლოში გაემგზავრა.

აეროდრომზე იგი გააცილეს პრემიერ-მინისტრის მოადგილემ ეკონომიკის საკითხებში ჯამილ შაიამ, საგარეო საქმეთა სახელმწიფო მინისტრმა აბდელ ქერიმ ადიმ, სხვა ოფიციალურმა პირებმა. გამცილებელთა შორის იყო სსრ კავშირის ელჩი სირიის არაბთა რესპუბლიკაში ი. ნ. ჩერნიაკოვი.

მოსკოვის აეროდრომზე მას დახვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ა. ი. პელშე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი.

# კ. ჩამანანი მოსკოვიდან გაემგზავრა

24 მარტს ტაილანდის პრემიერ-მინისტრი გენერალი კ. ჩამანანი მოსკოვიდან ლენინგრადს გაემგზავრა.

ტაილანდისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ ვაგზალზე პრემიერ-მინისტრი გააცილეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ, რუსეთის სფს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ მ. ს. სოლომენცევმა, სხვა ოფიციალურმა პირებმა. (საკდესი).

# სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის ბრძანება

## № 72 1979 წლის 27 მარტი ქ. მოსკოვი

### სსრ კავშირის შეიარაღებული ძალებიდან იმ სამხედრო მოსამსახურეთა დათხოვნის შესახებ, რომლებსაც 1979 წლის მაის-ივნისში გაუდით სამსახურის დადგენილი ვადა, და ნამდვილ სამხედრო სამსახურში მოქალაქეთა მორიგი გაწვევის შესახებ

სსრ კავშირის „საყოველთაო სამხედრო ვალდებულების" კანონის შესაბამისად ვბრძანებ:

1. დათხოვნილ იქნენ საბჭოთა არმიის, სამხედრო-საზღვაო ფლოტის, სასაზღვრო და შინაგანი ჯარების რიგებიდან თადარიგში 1979 წლის მაის-ივნისში სამხედრო მოსამსახურენი, რომლებსაც ნამდვილი სამხედრო სამსახურის ვადა გაუდით 1979 წლის 1 ივლისამდე.

2 ამ ბრძანების პირველი პუნქტის შესაბამისად თადარიგში სამხედრო მოსამსახურეთა დათხოვნასთან დაკავშირებით, საბჭოთა არმიის, სამხედრო-საზღვაო ფლოტის, სასაზღვრო და შინაგანი ჯარების ნამდვილ სამხედრო სამსახურში გაწვეულ იქნენ მოქალაქენი, რომლებსაც გაწვევის დღისათვის უსრულდებათ 18 წელი, არა აქვთ გაწვევის გადავადების უფლება, აგრეთვე უფროსი გასაწვევი ასაკის მოქალაქენი, რომლებსაც გაუვიდათ გაწვევის გადავადების ვადა.

3. ბრძანება გამოცხადდეს ყველა ასეულში, ბატარიაში, ესკადრილიაში და ხომალდზე.

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი, საბჭოთა კავშირის მარშალი
დ. უსტინოვი.

# სატელევიზიო ხიდი „დედამიწა"—„ორბიტა"



ფრენის მართვის ცენტრი. (საკდესი). „სალუტ-6"-„სოიუზ-32"-„პროგრეს-5" სამეცნიერო-საკვლევი კომპლექსის ფრენის პროგრამის შესაბამისად დღეს მოეწყო კოსმოსური კავშირის სისტემის გამოცდა, რომელიც უზრუნველყოფს სატელევიზიო გამოსახულების გადაცემას დედამიწიდან ორბიტულ სადგურში. ასეთი ექსპერიმენტი კოსმონავტიკის ისტორიაში პირველად შესრულდა.

„დედამიწა-ორბიტის" ხაზით ტელეინფორმაციის გადაცემისათვის გამოიყენეს დედამიწის საკომანდო-საზომი კომპლექსის შტატიანი და ახლად შექმნილი რადიოტექნიკური საშუალებანი.

გამოსახულების მიღება „სალუტ-6" სადგურში ხორციელდებოდა სპეციალურად შემუშავებული ტელემიმღების მეშვეობით, რომელიც ორბიტაზე მიიტანა „პროგრეს-5" სატვირთო ხომალდმა. კოსმონავტებმა ვლადიმერ ლიახოვმა და ვალერი რიუმინმა დაამონტაჟეს მიმღები სადგური და წინასწარ შეამოწმეს მისი მუშაობის უნარიანობა.

მართვის ცენტრიდან ტელეგადაცემები წარმოებდა რადიოსაუბრების ერთდროული კავშირის ორი სეანსის პროცესში. სადგურში გადაიცა გაზეთ „პრავდის" დღევანდელი ნომრის ტექსტის გამოსახულება, საბორტო ინსტრუქციის ნახატები. ფრენის ხელმძღვანელთან ა. ს. ელისეევთან, სსრ კავშირის კოსმონავტ მფრინავთან ვ. ნ. კუბასოვთან და კავშირის ოპერატორთან რადიოსაუბრის დროს კოსმონავტები თანამოსაუბრეებს ხედავდნენ თავიანთი მიმღების ეკრანზე. ვლადიმერ ლიახოვმა და ვალერი რიუმინმა აღნიშნეს მიღებული გამოსახულების კარგი ხარისხი.

კავშირის სისტემის ამოქმედების შემდეგ, რომელიც უზრუნველყოფს ტელეგამოსახულების მიღებას ორბიტულ კომპლექსში, მნიშვნელოვნად გაფართოვდება ეკიპაჟისათვის სხვადასხვა ინფორმაციის — ტექსტების, ცხრილების, ნახაზების, ფოტოსურათების, აგრეთვე მართვის ცენტრიდან და სხვა ორგანიზაციებიდან სატელევიზიო სიუჟეტების გადაცემის შესაძლებლობა.

# ლენინური შაბათობა გვიხმობს



● შაბათობაზე გამომუშავებული თანხიდან ათიათასობით მანეთი — მეათე ხუთწლედის ფონდში.

● შრომის დღესასწაულზე გამოვლენ მთელი კოლექტივები.

## მზად არიან

თბილისის საიარაღო ქარხანაში ყველაფერი მზად არის შრომის დღესასწაულის შესახვედრად. საწარმოს „წითელი შაბათობის" ჩამტარებელ შტაბს უკვე შედგენილი აქვს ყველა უბნის, საამქროს და ბრიგადის ზუსტი სამუშაო გეგმები.

შაბათობაში მონაწილეობას მიიღებს ქარხნის თითქმის ყველა მუშა-მოსამსახურე. ნახევარი აქედან პროდუქციის შექმნაზე იმუშავებს, ხოლო დანარჩენები კეთილმოაწყობენ საწარმოს ტერიტორიას. გამოშვებული იქნება ათასობით მანეთის პროდუქცია.

●●

## მელოკომოტივეები — შაბათობას

ბათუმი. (საკ. კორ.). კომუნისტური შაბათობის მოწყობის კარგი ტრადიცია აქვთ ბათუმელ მელოკომოტივეებს. წელს მათ პასუხისმგებლობას ისიც ზრდის, რომ შაბათობის ინიციატორებად მათი კოლეგები — მოსკოველი რკინიგზელები გამოვიდნენ.

აქ უკვე კარგა ხანია, რაც შაბათობისთვის თადარიგს შეუდგნენ. 21 აპრილს ისინი დაზოგილი მასალების, სათბობისა და ელექტროენერგიის ხარჯზე იმუშავებენ, გადაიყვანენ მგზავრებს, გადაზიდავენ სახალხო-სამეურნეო ტვირთს.

გარდა ამისა, დეპოს მუშაკები შეაგროვებენ 5 ტონა ჯართს და მოაწყობენ მთელ ტერიტორიას.

●●

## ერთსულოვნად

ცხაკაია. (საკ. კორ.). რაიონის მრეწველობის ფლაგმანის — ხალიჩების კომბინატის 900 მუშა-მოსამსახურე ერთსულოვნად მიიღებს მონაწილეობას 21 აპრილს მოწყობილ კომუნისტურ შაბათობაში. ისინი ამ დღეს დაამზადებენ 1.300 კვადრატულ მეტრ ხალიჩას, 2.500 კილოგრამ ნართს, ხუთწლედის ფონდში გადაირიცხება 2.700 მანეთი.

წლევანდელი შაბათობისათვის ახალი გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის, № 5 სამშენებლო ტრესტის, სოფლის მეურნეობის სამინისტროს № 2 სამშენებლო სამმართველოს, პირუტყვის კომბინირებული საკვების ქარხნის, მეცხოველეობის სამეურნეობათაშორისო გაერთიანებისა და სხვა კოლექტივებმა.

●●

## ხუთწლედის ფონდში

ჭიათურა. (საკ. კორ.). სამთამადნო კომბინატის დიმიტროვის სახელობის მაღაროს კოლექტივი 21 აპრილს უკლებლივ გამოვა სამუშაოდ. 780 კაცი პროდუქციას შექმნის და სახალხო მეურნეობას მიაწვდის 2.300 ტონა სასაქონლო კონცენტრატს; შეაგროვებენ 10 ტონა ლითონის ჯართს და კეთილმოაწყობენ მაღაროს ტერიტორიას.

შაბათობისათვის დამკვრელური შრომის ინიციატორებად გამოვიდნენ სატვირთო მანქანის მემანქანეები ე. ჭიღლაძე, ზ. ხომასურიძე, მებიგეები ა. ყაველაშვილი, რ. კეკენაძე და სხვები.

— ლენინური შაბათობისათვის კარგად ემზადებიან ორჯონიკიძელი მაღაროელებიც, — თქვა ამ საწარმოს პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარემ დ. პაპიძემ, — ამ დღეს 700 კაცი გამოვა სამუშაოდ, დამზადდება 214 ტონა უმაღლესი ხარისხის კონცენტრატი და გამომუშავებული ხელფასი — 3.100 მანეთი მთლიანად გადაირიცხება ხუთწლედის ფონდში.

●●

## მეშახტეები ემზადებიან

ტყვარჩელი. (საკ. კორ.). აფხაზეთის ინდუსტრიული ცენტრის — ტყვარჩელის მშრომელები ენერგიულად ემზადებიან ლენინური შაბათობის ორგანიზებული ჩატარებისათვის. შექმნილია საქალაქო შტაბი, რომელსაც საქართველოს კომპარტიის ტყვარჩელის საქალაქო კომიტეტის მდივანი ნ. ხარბედია ხელმძღვანელობს. ასეთივე შტაბები შეიქმნა ქალაქის წარმოება-დაწესებულებებში. წინასწარი მონაცემებით, კომუნისტურ შაბათობაში მონაწილეობას მიიღებს ქალაქის 12 ათასზე მეტი მშრომელი. აქედან 3 ათასი კაცი უშუალოდ პროდუქციას გამოუშვებს.

მეშახტეთა გადაწყვეტილებაა შაბათობის დღეს ამოიღონ 2.500 ტონაზე მეტი ქვანახშირი. შრომის დღესასწაულზე გამომუშავებული თანხიდან 17 ათასი მანეთი ჩაირიცხება მეათე ხუთწლედის ფონდში.

# საბჭოეთის [illegible] ამბები

[illegible] მექანიზატორებმა პირველ ასი ათას ჰექტარზე დათესეს საგაზაფხულო და სამარცვლე-პარკოსანი კულტურები. გაზაფხულის წვიმების შემდეგ საადრეო თესვის ნაკვეთებზე აღმონაცენი გაჩნდა. სამხრეთისა და ცენტრალური რაიონების ათობით მეურნეობა იწყებს მიწების დამუშავებას მთავარი კულტურების — შაქრის ჭარხლის, მზესუმზირას, სიმინდისა და ბრინჯისათვის, იპატოველ მხვნელ-მთესველთა მაგალითისამებრ მხარეში შეიქმნა 1700 სათესი კომპლექსი.

ასტარა (აზერბაიჯანის სსრ). აზერბაიჯანის სუბტროპიკული ზონის მეურნეობებმა, რომლებსაც ქვეყანაში ყველაზე საადრეო ბოსტნეული მოჰყავთ, დაიწყეს მოსავლის მასობრივი აღება. მათ საზოგადოებრივი კვების საწარმოებს, ბავშვთა დაწესებულებებსა და სამრეწველო ქალაქების სავაჭრო ქსელს გაუგზავნეს კომბოსტოს დიდი პარტია. ბოსტნეულის წარმოება აზერბაიჯანში უკანასკნელი სამი წლის მანძილზე თითქმის ერთიორად გაიზარდა და აღემატება ხუთწლედის დამლევისათვის დაგეგმილ დონეს.

იაროსლავსკი (ზღვისპირეთის მხარე). პირველი დამსვენებლები მიიღო იაროსლავსკის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის პროფილაქტორიუმმა, რომელიც აშენებულია კოლექტივის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმით. ჯანმრთელობის კერის ორსართულიანი კორპუსი აღიმართა უსურიის ტაიგის თვალწარმტაც კუთხეში. მის გვერდით განლაგებულია სპორტული კომპლექსი, რომელსაც აქვს საასპარეზო მოედნები. ყოველწლიურად პროფკავშირული საგზურებით პროფილაქტორიუმში წარმოებას მოუწყვეტლივ დაისვენებს კომბინატის 1200 მუშა და მოსამსახურე. (საკდესი).




# დღეს პირველი აკორდია

## მოსკოვური შეხვედრების სითბო

მოსკოვი. („კომუნისტის" საკ. კორ. დ. მაჭავარიანი). „კომუნისტის" მკითხველებმა გაზეთის 25 მარტის ნომერში გამოქვეყნებული მასალებიდან უკვე იციან, რომ 27 მარტიდან 5 აპრილამდე მოსკოვში ეწყობა ქართველ მწერალთა და კულტურის მოღვაწეთა შეხვედრები ჩვენი სამშობლოს დედაქალაქის მშრომელებთან.

შეხვედრების პირველი აკორდი იქნება ა. ფადეევის სახელობის ლიტერატურის ცენტრალურ სახლში გამართული დიდი ლიტერატურული საღამო, რომელიც ეძღვნება გამოჩენილი საბჭოთა მწერლების, ქართული კულტურის კეთილი მეგობრებისა და პროპაგანდისტების ნიკოლოზ ტიხონოვისა და პავლე ანტოკოლსკის ხსოვნას.

საღამოს უხელმძღვანელებენ სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი და ქართული ლიტერატურის საბჭოს თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი კონსტანტინე სიმონოვი და საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი გრიგოლ აბაშიძე.

საღამოში მონაწილეობას მიიღებენ ქართველი და რუსი მწერლები, ლიტერატორები ი. აბაშიძე, მ. ალიგერი, ე. დოლმატოვსკი, რ. კაზაკოვა, კ. კალაძე, მ. მაქსიმოვი, ფ. ხალვაში, ვ. სოკოლოვი, რ. მარგიანი, მ. მატუსოვსკი, ა. მეჟიროვი, ე. ნიკოლაევსკაია, მ. ფოცხიშვილი, ლ. ოზეროვი და სხვები.

ლიტერატორის სახლის ფოიეში მოეწყობა ქართული სუვენირების, გრამფირფიტების და ქართველ მწერალთა ნაწარმოებების გამოფენა-გაყიდვა, იჟღერებს ქართული მუსიკა. ახლანდელი მოსკოვური შეხვედრები ბევრ რამ საინტერესოს პირდება როგორც მოსკოველებს, ისე ამ საღამოების მონაწილე ქართველ მწერლებს, კულტურის მოღვაწეებს.

## „კომუნისტი" ეძიებს რეზერვებს

**ნათქვამია:** თუ კაცი ერთი წუთის საქმეს ორ-სამ წუთს ანდომებს, მას პოტენციურად უფრო დიდი დანაშაულის ჩადენაც შეუძლიაო.

რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე (რომელმაც, სხვათა შორის, რეზერვების ძიების საუკეთესო მაგალითი მოგვცა) გულისტკივილით აღინიშნა, რომ მარტო შარშან მთელი დღისა და ცვლისშიდა მოცდენების, ადმინისტრაციის ნებართვით სამუშაოზე გამოუცხადებლობის გამო მრეწველობაში ასიათასობით კაც-დღე დაიკარგა. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, დაიკარგა 97 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების პროდუქციის წარმოების შესაძლებლობა!

სამუშაო დროის ფლანგვა, ჩვენი უზარმაზარი შრომითი, მატერიალური თუ ფინანსური რესურსების უთავბოლო, არარაციონალური გამოყენება, მართლაც რომ, დანაშაულია. და თუკი რამ უნდა ვისწავლოთ ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთწლედის დარჩენილ პერიოდში უპირველეს ყოვლისა ამ რესურსების, ამ შესაძლებლობების უკეთ გამოყენება.

# 1. ნორმა და მუშაობის ხარისხი

● მაღალორგანიზებული შრომის სტანდარტი
● პასუხისმგებლობა და სტიმული

პარტიულ-სამეურნეო აქტივის რესპუბლიკურმა კრებამ ყველა მშრომელს მოუწოდა მოაწყონ გამოუყენებელი რეზერვების საყოველთაო დათვალიერება, თანამიმდევრულად განახორციელონ წარმოების ეფექტიანობის ამაღლების, მთელი ჩვენი მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების კურსი.

ჩვენი საზოგადოებისათვის სულ ერთი როდია, როგორ გეგმას დასახავს და შეასრულებს ესა თუ ის კოლექტივი, ესა თუ ის მუშაკი — გაითვალისწინებს თუ არა არსებულ შესაძლებლობებსა და რეზერვებს.

საწარმოო კოლექტივის მუშაობის შეფასებისას როდი კმარა ვიცოდეთ მარტოოდენ საგეგმო დავალებათა გადაჭარბების პროცენტი; ერთი ან ორი საგეგმო (თუნდაც ხარისხობრივი) მაჩვენებლის ზრდა ყოველთვის როდი გვაძლევს სწორ პასუხს კითხვაზე: კარგად იმუშავა შრომითმა კოლექტივმა თუ ცუდად?

ეკონომიკური ანალიზის, ამასთან კომპლექსური ანალიზის გარეშე, ძნელია დაადგინო საწარმოო კოლექტივის მუშაობის ხარისხი, მისი რეალური წვლილი. ამგვარი შემფასებლის, ამგვარი კრიტერიუმის როლი სამრეწველო საწარმოებში ნორმებს, უფრო სწორად, მაღალხარისხოვან ნორმათა სისტემას აკისრია. ტექნიკურად დასაბუთებული ნორმა, შეიძლება ითქვას, მაღალორგანიზებული შრომის სტანდარტია.

რესპუბლიკის მრეწველობის პროდუქციის რაოდენობრივი ზრდისა და ხარისხობრივი სრულყოფის საქმეში უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა შრომის ნორმირების ორგანიზაციის გაუმჯობესებამ. თუმცა ჯერ კიდევ ბევრის გაკეთება მოგვიწევს, რომ მუშაობის ამ სფეროშიც გავუთანაბრდეთ საშუალო-საკავშირო მაჩვენებლებს.

ამჟამად ტექნიკურად დასაბუთებული ნორმების ხვედრითი წონა ჩვენს მრეწველობაში დაახლოებით 77,5 პროცენტს შეადგენს. ეს თითქმის 5 პუნქტით მეტია, ვიდრე 1977 წელს. მაგრამ ისიც უნდა დავძინოთ, რომ იმ მენარდე მუშების ხვედრითი წონით, რომლებიც ტექნიკურად დასაბუთებულ ნორმებს იყენებენ, საქართველო, სამწუხაროდ, თითქმის ყველა მოკავშირე რესპუბლიკას ჩამორჩება. ამიტომ არის, რომ გამომუშავების ნორმებს 150 პროცენტით და მეტად ასრულებს მენარდე მუშების 15 პროცენტი, ხოლო 120-დან 150 პროცენტამდე — მენარდე მუშათა რაოდენობის მეოთხედზე მეტი. იმ დროითი მუშების ხვედრითი წონა, რომელთა შრომა ინორმება, არათუ იზრდება, მცირდება კიდეც, ამგვარი ნორმების ხვედრითი წონა რესპუბლიკის მრეწველობაში 40 პროცენტსაც ვერ აღწევს, საშუალო-საკავშირო კი 60 პროცენტს აღემატება. **ეს მონაცემები მოწმობს, რომ შრომის ნორმირების დასაბუთების ხარისხი შემდგომ გაუმჯობესებას საჭიროებს!**

სამრეწველო საწარმოთა დიდ ნაწილში, სადაც უკვე შემოღებულია შრომის ანაზღაურების ახალი პირობები, წარმატებით იყენებენ პროფესიათა შეთავსების შესაძლებლობებს, აფართოებენ მომსახურების ზონას, რისთვისაც სატარიფო განაკვეთზე მნიშვნელოვან წანამატს იღებენ. ეს თვალნათლივ ჩანს იმ საწარმოთა მაგალითით, რომლებიც კარგად მოემზადნენ ახალი პირობებით მუშაობისათვის.

მაგალითად, ერთ-ერთი ასეთი სანიმუშო საწარმოა რუსთავის მეტალურგიული ქარხანა. აქ ყველა მუშაკმა ღრმად შეიგნო შრომის ანაზღაურების ახალი პირობების ეკონომიკური და სოციალური მნიშვნელობა. დაამუშავეს და დაამტკიცეს ისეთი პროგრესული ნორმატივები, რომლებიც ასახავს შრომის ნაყოფიერების მიღწეულ დონეს, ხელს უწყობს და ახალისებს მის შემდგომ ზრდას.

მოსამზადებელი სამუშაოების პროცესში პარტიული კომიტეტისა და პროფკავშირის საერთო საქარხნო კრებებზე რეგულარულად განიხილავდნენ შრომის ახალი პირობების დანერგვის საკითხებს. ანაზღაურების ახალ წესს სწავლობდნენ ეკონომიკური განათლების ქსელში, პოლიტიკური განათლების სისტემაში. მიმდინარე სამუშაოებს ფართოდ აშუქებდა საქარხნო პრესა. ასე რომ, მუშაობის ახალ პირობებზე გადასვლამდე ყველამ იცოდა არა მარტო ის, თუ როგორ შეიცვლებოდა მისი საკვალიფიკაციო თანრიგი, არამედ ახალი სატარიფო განაკვეთებიც, პრემირების ახალი პირობებიც და მოთხოვნებიც.

ამჟამად მეტალურგიულ ქარხანაში მენარდე მუშების 90 პროცენტი ტექნიკურად დასაბუთებული ნორმებით მუშაობს, ყველა ძირითად საამქროში დანერგილია სისტემა „ნორმა-გეგმა", ესე იგი გამომუშავების ნორმას ადგენენ საგეგმო დავალებათა დონეზე.

შემთხვევითი როდია, რომ მენარდე მუშები გამომუშავების ნორმებს დაახლოებით 109 პროცენტით ასრულებენ, მაშინ, როცა მთლიანად შავ მეტალურგიაში ეს მაჩვენებელი 114 პროცენტს აღემატება.

თანამიმდევრულად, საქმის ღრმა ცოდნით გადასინჯავენ გამომუშავების ნორმებს ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში. შრომის ნორმირების სამუშაოებში ნორმადრების გარდა აქტიურად მონაწილეობენ ოსტატები, ტექნოლოგები, წარმოების მოწინავენი. უნარიანად იყენებენ სტიმულირების მექანიზმს ტექნიკურად დასაბუთებული ნორმების დანერგვისათვის.

ყველასათვის ცნობილია ის სასიკეთო გავლენა, რომელიც რუსთაველთა, ქუთაისელთა და თბილისის პირველი მაისის მშრომელთა ინიციატივის გავრცელებამ მოახდინა საგეგმო და საწარმოო დისციპლინის განმტკიცებაზე. სხვათა შორის, ეს მოძრაობები პირდაპირ თუ არაპირდაპირ შრომის ნორმირების გაუმჯობესებასაც მოითხოვს.

ძალზე საინტერესოდ გვეჩვენება საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ საწარმოში — თბილისის 1 მაისის სამკერვალო ფაბრიკაში დამკვიდრებული წესი, რომლითაც აქ მუშაკის ან უბნის ჩამორჩენას განსაზღვრავენ. **ფაბრიკაში ჩამორჩენილად მიიჩნევენ იმ მუშაკს, რომლის შრომის ნაყოფიერების დონე ჩამორჩება საშუალო-საკავშიროსას (დარგის მასშტაბით).** სასიხარულოა, რომ საწარმოო კოლექტივმა არა მარტო დაისახა, არამედ შეძლო კიდეც ამ საპატიო ამოცანის გადაწყვეტა და მაღალხარისხოვანი შრომით საკავშირო მასშტაბითაც გამოსარჩევი გახდა.

დღეს, როცა ჩვენს რესპუბლიკას არა აქვს იმაზე უფრო დიდი ამოცანა, ვიდრე საშუალო-საკავშირო დონისგან შედარებითი ჩამორჩენის რაც შეიძლება სწრაფი დაძლევა, ჩვენი აზრით, თბილისის 1 მაისის სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივის გამოცდილება არა მარტო უნდა წავახალისოთ, არამედ რესპუბლიკის თითოეული საწარმოო კოლექტივის ორიენტირადაც უნდა ვაქციოთ.

გეგმაზომიერად აუმჯობესებენ გამომუშავების ნორმებს თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატში". აქ, ყოველწლიურად ხდება მოქმედი ნორმების დაახლოებით მესამედის გადასინჯვა. მარტო შარშან მოქმედი 16.217 ნორმიდან გადაისინჯა 5472, ანუ მთელი ნორმების 33,7 პროცენტი.

ნიშანდობლივია ისიც, რომ ძველი ნორმიდან ახალ ნორმაზე გადასვლა ხდება არა ერთბაშად, არამედ სპეციალური კოეფიციენტის მეშვეობით. ეს კოეფიციენტი ითვალისწინებს სამუშაოს პროფილსა და სირთულეს. ნორმა თანდათანობით იზრდება, რაც კეთილსასურველ მიკროკლიმატს ქმნის.

გაერთიანების კოლექტივის გამოცდილება ნორმების სრულყოფის სფეროში დამაჯერებლად აბათილებს შეხედულებას, თითქოს ნორმების გადასინჯვა, ოპტიმალურად დაძაბული დონის მიღწევა მუშაკთა მატერიალური წახალისების შემცირებას იწვევდეს. საქმე სწორედ რომ პირიქით არის. ჩვენ წინათ უკვე აღვნიშნეთ, წლითიწლობით როგორ ამაღლდა გაერთიანებაში დასაბუთებული ნორმების ხვედრითი წონა. მუშათა საშუალოთვიური ხელფასი შარშან 1976 წელთან შედარებით ამის გამო კი არ შემცირებულა, პირიქით, 8,3 პროცენტით გაიზარდა, მათ შორის დროითი მუშების ხელფასი — 11 პროცენტით.

შრომის ნორმირების სრულყოფა ბუნებრივად იწვევს მაღალორგანიზებული შრომისადმი სწრაფვას, ამაღლებს მუშაკთა როგორც ინდივიდუალურ, ისე კოლექტიურ დისციპლინასა და პასუხისმგებლობას, უფრო მიზანდასახულად ხდება შიდასაწარმოო რეზერვების ამოქმედებაც. მივმართოთ ფაქტებს.

თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატში" 1976 წელს საშუალოდ ერთმა მუშამ 2,19 დღე გააცდინა, 1977 წელს — 1,56, 1978 წელს — 1,01. შესაბამისად სამი პუნქტით გაიზარდა ერთი მუშის სასარგებლო დროის ფონდი.

გაერთიანებაში დანორმვის დონის ამაღლებას მიანიშნებს ნორმების შესრულების ფაქტიური მდგომარეობა. თუ 1975 წელს გამომუშავების ნორმები საშუალოდ 220 პროცენტით სრულდებოდა (მათ შორის ძირითადი მუშები — 195, დამხმარე — 300), 1977 წელს ეს მაჩვენებლები შესაბამისად 119, 119,3 და 117,3 პროცენტს, ხოლო 1978 წელს — 117,6, 117,1 და 119,7 პროცენტს შეადგენდა.

შრომის ნორმირების სრულყოფისათვის გაერთიანებაში უნარიანად იყენებენ მართვის ყველა ფორმას, მათ შორის, ცხადია, სოციალისტურ შეჯიბრებასაც, რომლის თითოეულ მონაწილეს დასაბუთებული ნორმების საფუძველზე შედგენილი აქვს შრომის ნაყოფიერების ზრდის პირადი გეგმა, რომელშიც აისახება საწარმოო გაერთიანების სპეციფიური თავისებურებანი.

ამგვარად შედგენილი პირადი გეგმების ჯამი ემთხვევა გაერთიანების წლიურ საგეგმო დავალებებს. ერთიანი, დასაბუთებული სამოქმედო პროგრამით მუშაობა კი მნიშვნელოვნად აიოლებს კოორდინაციას თითოეულ სამეურნეო ქვედანაყოფს შორის. და კიდევ ერთი რამ: სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამებისას საგანგებო ყურადღებას აქცევენ იმას, თუ როგორი ნორმებით (საცდელ-სტატისტიკურით თუ ტექნიკურად დასაბუთებულად) მუშაობდა ესა თუ ის სამეურნეო რგოლი.

რესპუბლიკის მოწინავე საწარმოთა გამოცდილებას იმიტომ შევეხეთ, რომ თვალნათლივ გვეჩვენებინა ურთიერთკავშირი და ურთიერთგავლენა ნორმირების ხარისხსა და წარმოების ეფექტიანობის, საერთოდ მუშაობის ხარისხის ამაღლებას შორის. რეზერვები თავისით არ ვლინდება, მაღალორგანიზებული შრომა მხოლოდ ნორმირების მაღალი დონის პირობებშია შესაძლებელი.

**ზ. კაციაშვილი,**
ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

# მომავლის ტრანსპორტი
## — როგორი იქნება ხვალ?

**მომავლის** წარმოდგენა და მომავალში მოგზაურობა ყოველთვის იწვევდა ადამიანთა ინტერესს. ამის ნიადაგზე შეიქმნა ჟიულ ვერნის, ა. ტოლსტოის და მრავალ სხვათა შესანიშნავი ზღაპრები და მხატვრული ფანტასტიკის შედევრები.

მომავლის საკითხი დღეს უფრო დიდ ცნობისწადილს იწვევს მეცნიერული და ტექნიკური პროგრესის ჩქარი ტემპის გამო. ამ პირობებში მომავალი და მომავლის ტექნიკა, რომ იტყვიან, ყურის ძირშია, ხოლო ზოგით ტექნიკური შედეგი, ზოგჯერ სავსებით მოულოდნელია. ერთხელ სახელგანთქმულმა საბჭოთა ავიაკონსტრუქტორმა, აკადემიკოსმა ა. ტუპოლევმა თქვა, როდესაც ჩემს პირველ თვითმფრინავებს ვაგებდი, აზრადაც არ მომდიოდა (ვერც დავიჯერებდი ამას), რომ შესაძლებელი იქნებოდა ისეთი თვითმფრინავის აგება, რომელიც საათში 900 კილომეტრს გაიფრენდაო. ახლა ესეც კი განვლილი ეტაპია.

ძნელია ტექნიკის ამა თუ იმ დარგის მომავლის წარმოდგენა (შორეული პროგნოზით), რადგან ეს მრავალი ტექნიკური და მეცნიერული პრობლემის მომავალ მდგომარეობაზეა დამოკიდებული. ახლა ფუნდამენტური მეცნიერების დარგებში აღმოჩენები აღმოჩენებს მოსდევს, ეს კი სრულიად ახალ შესაძლებლობებს ქმნის და საფუძველს უყრის ტექნიკის ახალ დარგებს, რომლებიც თავის მხრივ გავლენას ახდენენ მომიჯნავე დარგებზე. ამიტომ არის ძნელი პროგნოზირება. აბა, ვის შეეძლო რამდენიმე ათეული წლის წინათ ეწინასწარმეტყველა, რომ შეიქმნებოდა ლაზერული ტექნიკა?

მიუხედავად ამისა, მომავალში მოგზაურობა მეტად საინტერესო და სასარგებლოც. ახლა ეს მოითხოვს კვალიფიციურ მიდგომას, ამან შექმნა ახალი დარგი, რომელსაც პროგნოსტიკა ეწოდება.

როგორი იქნება მომავლის ტრანსპორტი, ამას ზოგადად შეიძლება ასეთი პასუხი გავცეთ: უფრო ჩქარი, ცხოვრება ისტორიულად ყოველთვის სიჩქარის გადიდების მოთხოვნას უყენებდა ტრანსპორტს. დღეს, ცხოვრების ტემპის გაძლიერებასთან დაკავშირებით, ეს მოთხოვნა უფრო მკვეთრად არის გამოსახული.

საქმე ეხება ყოველგვარ ტრანსპორტს: სახმელეთოს, სანაოსნოს და საჰაეროს. უფრო კონკრეტულად რაიმეს თქმა ტრანსპორტის ამა თუ იმ საშუალებაზე ძნელია, ვინაიდან ტრანსპორტის ყოველი სახეობა დანიშნულების მიხედვით შეიძლება იყოს საქალაქო, საქალაქთაშორისო, სამგზავრო, სატვირთო და სხვა მრავალგვარი. ყოველ მათგანს კი აქვს განვითარების საკუთარი გზა. მხოლოდ სახმელეთო ტრანსპორტი რომ განვიხილოთ, ესეც უამრავ საკითხს მოიცავს, რადგან ტრანსპორტის ეს სახეობა შეიძლება იყოს: ლიანდაგიანი და ულიანდაგო. ულიანდაგო ტრანსპორტი, თავის მხრივ, შეიძლება იყოს თვლიანი, უთვლო (ჰაერის ბალიშზე) და მოსიარულე. თვლიანს შეიძლება ჰქონდეს ავტონომიური ენერგეტიკული დანადგარი ან ცენტრალური ენერგოკვება. ავტონომიური ენერგოდანადგარი შეიძლება იყოს სითბური და ელექტრული. აქედან მხოლოდ სითბურ ძრავებს აქვს რამდენიმე სახესხვაობა. დგუშიანი, როტაციული, როტორულ-დგუშიანი, რეაქტიული და სხვა. ყოველ მათგანს აქვს აგრეთვე სახესხვაობები საწვავის, წვის პროცესის მომზადების და მრავალ სხვათა მიხედვით. მომავალი ულიანდაგო, ავტონომიური ძრავის მქონე თვლიანი სატრანსპორტო საშუალება (ავტომობილი) უნდა იყოს უხმაურო, არ უნდა აჭუჭყიანებდეს ჰაერს, უნდა აკმაყოფილებდეს უსაფრთხოების მოთხოვნებს, იყოს კომფორტული, ადვილად მართვადი და მდგრადი, უნდა აკმაყოფილებდეს სიმტკიცის, ხანგრძლივობის, საიმედოობისა და ეკონომიის მოთხოვნებს.

ეს არასრული მიმოხილვაც კი გვიჩვენებს, თუ რა მრავალი მიმართულებით მოითხოვს წინსვლას და პრობლემათა გადაწყვეტას მომავლის სატრანსპორტო საშუალების ერთ-ერთი წარმომადგენელი — ავტომობილი.

ნებისმიერი სატრანსპორტო საშუალება სატრანსპორტო სისტემის კომპონენტია, რომლის სხვა შემადგენელი ნაწილებია ტრანსპორტის საყრდენი (გზა, წყალი ან ჰაერი) და რეგულირების საშუალება. ეს უკანასკნელი აერთიანებს სატრანსპორტო საშუალებასა და ტრანსპორტის საყრდენს ერთ სისტემად და განაპირობებს სატრანსპორტო საშუალების მოძრაობას საყრდენ ზედაპირზე. საავტომობილო სატრანსპორტო სისტემის კომპონენტებია სატრანსპორტო საშუალება — ავტომობილი; ტრანსპორტის საყრდენი — გზა; რეგულირების საშუალება — ადამიანი (მძღოლი) და სამართავი მოწყობილობა. ერთ-ერთი კომპონენტის ჩამორჩენა იწვევს მთელი სისტემის ჩამორჩენას. მომავლის ავტომობილი წარმოუდგენელია მომავლის გზისა და სათანადო რეგულირების საშუალების გარეშე. ადამიანის, როგორც რეგულატორის, შესაძლებლობები შეზღუდულია, ამიტომ მას, სიჩქარის ზრდის შემთხვევაში, სჭირდება დახმარება მართვის ავტომატიკისა და საგზაო სიგნალების გადასამუშავებელი საშუალებებით.

ამიტომ მომავლის საავტომობილო სატრანსპორტო სისტემის ბედი არა მხოლოდ ავტომობილების კონსტრუქციების, არამედ აგრეთვე საგზაო ინჟინრების, ავტომატიკისა და ტელემექანიკის სპეციალისტების, ფსიქოლოგების, ქიმიკოსების, მეტალურგების და სხვათა ხელშია. ფსიქოლოგებმა უნდა შეისწავლონ ადამიანის, როგორც რეგულატორის, რეაქციები და შესაძლებლობანი, ხოლო ქიმიკოსებმა და მეტალურგებმა უნდა უზრუნველყონ ავტომრეწველობა საჭირო კონსტრუქციული მასალებით.

სიჩქარის ზრდა შეუძლებელია ძრავას სიმძლავრისა და ბრუნთა რიცხვის გაუდიდებლად. ეს კი გამოიწვევს მანქანის დეტალებში დაძაბულობის გაზრდას, რასაც უნდა მოჰყვეს სატრანსპორტო საშუალების კუთრი წონის გადიდება. ამ არასასურველი მოვლენის თავიდან აცილება შეიძლება, თუ შეიქმნება წინასწარ დასახული თვისებების მქონე ახალი საკონსტრუქტორო მასალები.

როგორც ამას წინათ „კომსომოლსკაია პრავდა" იუწყებოდა, მომავლის ტრანსპორტთან დაკავშირებულ მრავალმხრივ და საინტერესო მუშაობაში ჩაბმულია სტუდენტთა საკონსტრუქტორო ბიუროები. ეს მეტად სასიამოვნო და მნიშვნელოვანი ფაქტია. ვფიქრობთ, ამას უნდა მიბაძონ ჩვენმა უმაღლესმა სასწავლებლებმა. ამის შესაძლებლობა აქვს როგორც საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის, ისე ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტების სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის პროფილის კათედრებს. მათ აქვთ საშუალება სამუშაოებში ჩააბან სხვა სპეციალობათა სტუდენტებიც და ამით მრავალმხრივი გახადონ საკონსტრუქტორო ბიუროს მუშაობა. ეს ღონისძიება ხელს შეუწყობს სტუდენტთა ერუდიციის გაფართოებას და კვალიფიციური, მიზანდასახული სპეციალისტების ჩამოყალიბებას.

მომავლის ავტომობილთან დაკავშირებულ საკითხებზე ბევრი სამეცნიერო და საკონსტრუქტორო ორგანიზაცია მუშაობს საბჭოთა კავშირში. გარკვეული მუშაობა მიმდინარეობს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტშიც. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მომავლის ავტომობილის გამონაბოლქვი გაზები არ უნდა აჭუჭყიანებდეს გარემოს. ამის მისაღწევად აღნიშნულ ინსტიტუტებში მიმდინარეობს ახალი პრინციპით მომუშავე ძრავის დამუშავება, რომელშიც უკეთ იქნება ორგანიზებული წვის პროცესი და ამის გამო გამონაბოლქვში არ იქნება ტოქსიკური მინარევები. დიდი ადგილი აქვს დათმობილი ინსტიტუტის თემატიკაში საკითხს, თუ როგორი უნდა იყოს მომავლის ავტომობილი [illegible]სათვის.

ამჟამად ელექტროავტომობილები კონკურენციას ვერ უწევენ შიგაწვის ძრავიან ავტომობილებს. მაგრამ, მოკლე ხანში საბოლოოდ დამუშავდება სატრანსპორტო სათბობის ელემენტი, რომელიც სათბობის ქიმიურ ენერგიას უშუალოდ გარდაქმნის ელექტროენერგიად და ატმოსფეროში არავითარ ტოქსიკურ ნივთიერებებს არ გამოყოფს. უნდა ველოდეთ, რომ სათბობის ელემენტიანი ელექტროავტომობილი იქნება მომავლის ავტომობილის ერთ-ერთი სახეობა, მაგრამ ტრანსპორტით გადატვირთულ ქალაქებში, სადაც გაჩერებები ხშირია და ავტომობილების მოძრაობის სიჩქარე მცირე, მომავლის საქალაქო ავტომობილებისათვის შეიძლება კარგი შედეგი მოგვცეს გიბრიდიულმა, ელექტრომექანიკური ამძრავის მქონე ავტომობილმა. ამ მიმართულებითაც დაიწყო მუშაობა მანქანათა მექანიკის ინსტიტუტმა. აქვე დიდი ყურადღება ექცევა სატრანსპორტო საშუალების მართვის ავტომატიზაციის პრობლემას.

კვლევის ეს მიმართულებები პერსპექტიულია, ხოლო დღეისათვის მიღებული შედეგები — დამაიმედებელი.

მომავლის ტრანსპორტთან დაკავშირებული საკითხები მეტად აქტუალურია და საინტერესო. უნდა დაისახოს ღონისძიებანი, რათა ჩვენმა ახალგაზრდობამ, ჩვენმა სტუდენტობამ აქტიური მონაწილეობა მიიღოს მათ დამუშავებაში.

**რაფიელ დვალი,**
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, მანქანათა მექანიკის ინსტიტუტის დირექტორი.



## ნეიტრინოს საიდუმლოებანი

**ნეიტრალური** ნაწილაკი ნეიტრინო სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ბირთვული კვლევის ინსტიტუტის ბაქსანის ობსერვატორიის მთავარი საკვლევი ობიექტი გახდა. სწორედ იალბუზის მთის ძირში განლაგებულ ამ ობსერვატორიაში იშვა სსრ კავშირში ასტროფიზიკური კვლევის ახალი მიმართულება — ნეიტრინული ასტრონომია.

სულ ცოტა ხნის წინათ, სწორედ აქ აღირიცხა პირველი ნეიტრინოები, რომლებიც დედამიწის ატმოსფეროში იშვა წყნარი ოკეანის სამხრეთ ნაწილის თავზე. მათ მთელი პლანეტა „გახვრიტეს" და ამ გზით „გამოგვეცხადნენ".

ნეიტრინოს „ყოვლისგამავლობის" უნარი აიხსნება ნივთიერებასთან მისი ძალზე სუსტი ურთიერთმოქმედებით, რის წყალობითაც ამ ნაწილაკს შეუძლია დედამიწაში „გაიაროს".

●●

სურათებზე: სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ბაქსანის ობსერვატორიის მეცნიერი თანამშრომლები ანატოლი სმოლნიკოვი (მარცხნივ) და ევგენი კოვალჩუკი; 8200 სცინტილაციური დეტექტორი აღრიცხავს შესწავლისათვის მანამდე მიუწვდომელ ზემაღალი ენერგიების კოსმოსურ სხივებს.

რ. დენისოვის ფოტო (საკდესის ფოტოქრონიკა).



## XXI საუკუნის კარიბჭესთან

# უთვლო მატარებელი

**ჩვენს** ქვეყანაში დიდი მეცნიერულ-კვლევითი მუშაობა წარმოებს რკინიგზის მაგისტრალებისათვის საჭირო მალი მოძრავი შემადგენლობის შესაქმნელად. ამჟამად, მაგალითად, მოსკოვსა და ლენინგრადს შორის სამგზავრო ექსპრესები საათში 160 კილომეტრამდე სიჩქარით დადიან. თვლიანი მატარებლების სიჩქარის შემდგომი გადიდება მოითხოვს ახალი, თითქმის პირდაპირი გზების, უფრო სრულყოფილი სარელსო ლიანდაგებისა და მოძრავი შემადგენლობის მშენებლობას.

როგორც გამოკვლევა გვიჩვენებს, მალი რკინიგზის მაგისტრალის მშენებლობა პერსპექტივაში უფრო მიზანშეწონილია მოსკოვ-სამხრეთის მიმართულებით, სადაც მგზავრთა ყველაზე დიდი ნაკადებია. ასეთ სპეციალურ ხაზზე შეიძლება განვავითაროთ საათში 250 კილომეტრამდე სიჩქარე და მგზავრები მივიყვანოთ ყირიმში ერთ ღამეში, სოჭში კი 9-10 საათში.

მაგრამ „თვალ-რელსის" ჩვეულებრივი სისტემის პირობებში საათში 300 კილომეტრზე მეტი სიჩქარის რეალიზაცია დაკავშირებულია არა მარტო დიდი ტექნიკური, არამედ ეკონომიკური სიძნელეების დაძლევასთან, მალი რკინიგზების ექსპლოატაცია ლიანდაგის მიმდინარე შენახვისა და რემონტის ფრიად მნიშვნელოვან ხარჯებს მოითხოვს.

ამასთან დაკავშირებით ისმება საკითხი: აქვს თუ არა აზრი ვხარჯოთ კოლოსალური მატერიალური სახსრები იმ ახალი მაგისტრალების გასაყვანად, რომლებიც აიგო ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით, მაგრამ მუშაობენ „თვალ-რელსის" მოძრაობის ძველი პრინციპით, რომლის დროსაც მაქსიმალური სიჩქარე პრაქტიკულად შემოიფარგლება საათში 300 კილომეტრით?

საბჭოთა კავშირში, ისევე როგორც სხვა ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში, უკვე ახლა შეიქმნა, უახლოეს მომავალში კი კიდევ უფრო გაიზრდება მიწისზედა ტრანსპორტის სიჩქარის 350-500 კილომეტრ საათამდე გადიდების მოთხოვნილება.

სარელსო ტექნიკის განვითარების მთავარი მიმართულებაა უთვლო მატარებლები მაგნიტური დაკიდებით, ესე იგი პრინციპულად სხვა საფუძველზე.

ამ დარგში სამუშაოები ჩვენთან დიდი ხანია დაიწყო. პირველ ეტაპზე ვაანალიზებთ ახალი სახეობის ტრანსპორტის ტექნიკურ-ეკონომიკურ ეფექტიანობას ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით.

თეორიული კვლევა ეხება მაგნიტური დაკიდების სხვადასხვა სისტემის, წევისა და დამუხრუჭების, ენერგომომარაგების დენანართმის, მოძრაობის ავტომატიკის ფართო ექსპერიმენტულ შემოწმებას. ამ პრობლემათა გადაჭრაში ჩაბმულია რამდენიმე ინსტიტუტი და ორგანიზაცია საბჭოთა კავშირის ელექტრომავალმშენებლობის სამეცნიერო-კვლევითი საპროექტო-საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიური ინსტიტუტის მეთაურობით. ამჟამად ჩვენში სწავლობენ უთვლო დაკიდების ორ ძირითად სისტემას: ელექტრომაგნიტურსა და ელექტროდინამიკურს. პირველი იყენებს ლიანდაგის ფერომაგნიტურ ელემენტებთან ვაგონების ქვეშ განლაგებული ჩვეულებრივი ელექტრომაგნიტების მიზიდვის პრინციპს. ვაგონი და ლიანდაგი არ ეხება ერთმანეთს, ვინაიდან არის ელექტრომაგნიტების დენის ავტომატური რეგულირების სწრაფად მოქმედი სისტემა, რომელიც საშუალებას გვაძლევს გადამწოდების დახმარებით დავიცვათ მატარებლის ფრენა დაახლოებით 20 მილიმეტრ სიმაღლეზე. მეორე სისტემაში (ელექტროდინამიკურში) ვაგონების ქვეშ დადგმულია ელექტრომაგნიტები ზეგამტარი გრაგნილებით, რომლებიც ურთიერთმოქმედებენ ლიანდაგის დენგამტარ არაფერომაგნიტურ ელემენტებთან, მაგალითად, ალუმინის ფურცლებთან, რომლებშიც მატარებლის მოძრაობის დროს გაჰყავთ დენი. ამ დროს წარმოშობილი ბიძგის ძალას ვაგონები ლიანდაგის სტრუქტურიდან 250-300 მილიმეტრ სიმაღლეზე აჰყავს. ელექტროდინამიკური სისტემა იწყებს მოქმედებას, როცა მატარებლის მოძრაობის სიჩქარე საათში 50-70 კილომეტრს აღწევს. ამიტომ გაქანებისა და დამუხრუჭების დროს ეკიპაჟი თვლებით მოძრაობს.

შესაძლებელია მაგნიტური დაკიდვის სხვა ვარიანტებიც და კომბინაციებიც. პირველ ხანებში მიღებულია ელექტრომაგნიტური სისტემა. დეტალური კვლევის საგანია ბევრი საკითხი, რომლებიც უკავშირდება ელექტრომაგნიტური სისტემის თვისებათა შეფასებას, ლიანდაგზე ელექტრომაგნიტებისა და ფერომაგნიტური ელემენტების ოდენობისა და მასის განსაზღვრას, ელექტრომაგნიტების ამწევი ძალის რეგულირების საშუალებათა თვითრეგულირების საჭირო სიზუსტეს და სხვ.

**ვ. დრობინსკი,**
(ახალი ამბების სააგენტო).

## გავხედოთ ხვალინდელს
### ზოგიერთი ცნობა

● **ამჟამად ერთი რეაქტიული თვითმფრინავი ატლანტის ოკეანის გადალახვისას წვავს 35 ტონაზე მეტ ჟანგბადს, რომელსაც 120.000 კუბური მეტრი ჰაერი შეიცავს. ჰაერის ეს რაოდენობა სასუნთქად 80 კაცს ეყოფოდა მთელი წლის განმავლობაში. ხვალინდელი თვითმფრინავი კი ამდენ ჟანგბადს აღარ „წაგვართმევს".**

● **გაჭუჭყიანების თვალსაზრისით განსაკუთრებით სერიოზულად დგას საქმე შედარებით იმ მცირე აუზებში, სადაც წყლის განახლება ნელა ხდება. მაგალითად, წყალში გახსნილი ჟანგბადის შემცველობა ბალტიის ზღვის ცალკეულ რაიონებში უკვე 1970 წელს** [illegible]

● [illegible]

ადამიანი და კანონი

# სახელმწიფო არბიტრაჟი მოქმედებს

## საქონლის მიუწოდებლობას — უკომპრომისო ბრძოლა

**ჩვენი** ქვეყნის კონსტიტუციაში საკანონმდებლო წესით არის განმტკიცებული სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოების ფუნქცია. ეს ორგანოები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში სამეურნეო დავას წყვეტენ საწარმოებსა, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს შორის.

ცხადია, დავათა ხასიათი მრავალნაირია, მაგალითად, უხარისხო პროდუქცია, სოციალისტური საკუთრების დაცვა, წინასახელშეკრულებო დავა და სხვა. მათ შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია პროდუქციის (საქონლის) მიუწოდებლობას, ნაკლებმიწოდებას ან ვადის დარღვევით მიწოდებას. აქვე ვიტყვით, რომ სახელშეკრულებო დისციპლინის ამგვარმა დარღვევამ შეიძლება არსებითი ზიანი მიაყენოს სახალხო მეურნეობას. გარდა ამისა იგი იწვევს არამწარმოებლურ ხარჯებს ჯარიმების სახით.

პარტიის XXV ყრილობაზე ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი აღნიშნავდა, რომ „უგერგილო ხელმძღვანელ მუშაკებს უნდა დავუგმანოთ ყველა ხვრელი, რომლებიც ჯერ კიდევ აძლევენ შესაძლებლობას გაძვრნენ მოწინავეთა რიგებში სახელშეკრულებო ვალდებულებათა დარღვევისა და პროდუქციის დაბალი ხარისხის, რეზერვების ცუდი გამოყენების მიუხედავად. ამისათვის საჭიროა მატერიალური და მორალური სტიმულირების ქმედითი სისტემა, რომელიც შეხამებული იქნება მკაცრ და გარდაუვალ სანქციებთან საგეგმო და სახელშეკრულებო დისციპლინის დარღვევისათვის". ამ საპროგრამო მითითებით, აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებებით ხელმძღვანელობენ მუშაობაში რესპუბლიკის სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოები, ვიყენებთ მკაცრ ქონებრივ სანქციებს საგეგმო და სახელშეკრულებო დავალებათა დამრღვევების წინააღმდეგ.

შარშან სახელმწიფო არბიტრაჟში ამ კატეგორიის 2.702 საქმე განვიხილეთ. ნიშანდობლივია, რომ რესპუბლიკაში საგრძნობლად იკლო იმ საწარმოთა რიცხვმა, რომლებიც არ ასრულებენ სახელშეკრულებო ვალდებულებას.

მარტო სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოების გადაწყვეტილებებით, ესე იგი იძულებითი წესით პროდუქციისა და საქონლის მიუწოდებლობისათვის სხვადასხვა ორგანიზაციამ 7.981 ათასი მანეთი გადაიხადა. ისიც აღსანიშნავია, რომ ამ საქმეთა გარკვეული ნაწილი თვით სახელმწიფო არბიტრაჟის ინიციატივით იყო აღძრული. როგორც ანალიზი გვიჩვენებს, ხელშეკრულების ამგვარი დარღვევის ფაქტები უმეტესად რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საწარმოთა მუშაობაში შეიმჩნევა. მარტო ფეხსაცმლის საწარმოებმა 670 ათასი მანეთი გადაიხადეს, აქედან 335 ათას მანეთზე მეტი საწარმოო გაერთიანება „ისანზე" მოდის. თბილისის ფეხსაცმლის მოდელების ფაბრიკამ გადაიხადა 102 ათასი მანეთი, ქუთაისის ტყავფეხსაცმლის ფაბრიკამ — 77 ათასი მანეთი და ა. შ.

სამკერვალო ნაწარმის მიუწოდებლობისათვის საწარმოებმა ჯარიმის სახით, 76 საქმის გამო 631 ათას მანეთზე მეტი გადაიხადეს. აქედან ქუთაისის სამკერვალო საწარმოო გაერთიანება დაჯარიმდა 129 ათასი მანეთით, ცხინვალის სამკერვალო ფაბრიკა — 144 ათასი მანეთით, თელავის სამკერვალო ფაბრიკა — 65 ათასი მანეთით, თბილისის ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო ფაბრიკა — 33 ათასი მანეთით. ქსოვილების მიუწოდებლობისათვის 144 საქმის გამო დარიცხულია 532 ათასი მანეთი, საწარმო ტექნიკური ხასიათის პროდუქციის მიუწოდებლობის თაობაზე განხილულია 896 საქმე და ჯარიმის სახით დაედოთ 1.553 ათასი მანეთი. მიწოდების ხელშეკრულების ჩშლა მოხდა ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს სისტემის თბილისის პირველ, მეორე და მესამე, ცხინვალისა და ბათუმის მექანიკურ ქარხნებში.

არცთუ იშვიათია შემთხვევები, როცა საშენ მასალათა მრე[illegible]ობის სამინისტროს საწარ[illegible] მიწოდების ვადებს არღვე[illegible] კერძოდ ეს ითქმის გარდა[illegible] მუყაო-რუბეროიდის ქარ[illegible]. 1978 წლის მეორე კვა[illegible]ლში ხელშეკრულების დარ[illegible]სათვის სახელმწიფო არბიტ[illegible] სახელმწიფო ბაჟის დასაფარავად. ხელშეკრულებას ხშირად არღვევს თბილისის გაერთიანება „ჩარხმშენებელი", რომელიც ჯარიმის სახით დიდ თანხებს იხდის.

შარშან სასურსათო საქონლის მიუწოდებლობის ან ნაკლებმიწოდებისათვის 438 დავა განვიხილეთ და ჯარიმის სახით ცალკეულ ორგანიზაციებს 960 ათასი მანეთი დავაკისრეთ.

განსაკუთრებით არ სრულდება ჩაისა და შამპანური ღვინოების მიწოდების ხელშეკრულებები. მაგალითად, მარტო სამტრედიის ჩაის საწნეხმა ფაბრიკამ „ტაჯიკბაკალეიის" ლენინაბადის ბაზას მიწოდების ასორტიმენტის დარღვევისათვის 33 ათასი მანეთი გადაუხადა. რა თქმა უნდა, აქ მარტო ჯარიმების გადახდა როდია მთავარი. ყურადსაღებია ის გარემოება, რომ სახელშეკრულებო დისციპლინის დარღვევა უარყოფითად მოქმედებს საგეგმო დავალებათა შესრულებასა და მოსახლეობისათვის საჭირო პროდუქციის მიწოდებაზე.

მიწოდების თაობაზე სახელმწიფო დისციპლინის დარღვევისათვის სათანადო შეტყობინებები ეგზავნებათ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს, სამინისტროებისა და საწარმოთა ხელმძღვანელებს, ცალკეულ შემთხვევა[illegible] მოება-დაწესებულებებში განიხილავს ხოლმე, და, ცხადია, ბოროტ დამრღვევთა მიმართ გაძლიერებულ სანქციებს იყენებს.

სახელშეკრულებო დისციპლინისა და იურიდიული სამსახურის გაუმჯობესებას დიდ ყურადღებას უთმობენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო. ამას წინათ მინისტრთა საბჭომ განიხილა სახელშეკრულებო დისციპლინის დარღვევის საკითხი და სამინისტროების, უწყებების, ორგანიზაციების ხელმძღვანელებს დაავალა უფრო ღრმად გაარკვიონ დავალებათა და ვალდებულებათა შეუსრულებლობის მიზეზები, განახორციელონ ღონისძიებანი მათ აღსაკვეთად, გააძლიერონ ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა სამეურნეო ხელშეკრულებათა უთუო შესრულებისათვის, იმ პირებს, რომლებიც დაუშვებენ კანონიერებისა და სახელმწიფო დისციპლინის დარღვევას, გადაახდევინონ მატერიალური ზარალი.

სახალხო კონტროლის ორგანოებმა სახელმწიფო არბიტრაჟის შეტყობინებებით და საკუთარი ინი[illegible] სახალხო კონტროლის, პროკურატურის, იუსტიციის, შინაგან საქმეთა ორგანოებთან, სასამართლოებთან მჭიდრო ურთიერთობით გააძლიეროს ბრძოლა სახელშეკრულებო და საერთოდ სახელმწიფო დისციპლინის დამრღვევთა წინააღმდეგ, საქმიანი კონტაქტები იქონიოს მშენბანკის, სახელმწიფო ბანკისა და სხვა მაკონტროლებელ ორგანოებთან.

რესპუბლიკის სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოები კანონის ფარგლებში ყოველ ღონეს იხმარენ, რათა წარმატებით შეასრულონ მათ წინაშე მდგომი ამოცანები, განამტკიცონ კანონიერება, დისციპლინა და წესრიგი სახელმწიფო საწარმოთა ურთიერთობაში.

**ვ. მაისურაძე,**
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის მთავარი არბიტრი.

# საერთაშორისო ცხოვრება დღევანდელი ზურბზე

- სსრ კავშირი-საფრანგეთი: ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის დიდი სიკეთე
- ლაოსის სახალხო-რევოლუციური პარტიის შექმნის 24-ე წლისთავისათვის
- ხელს აფარებენ ფაშისტ დამნაშავეებს
- პროგრესისა და მშვიდობისათვის ბრძოლა წარმატებით ვითარდება

## ლ. ი. ბრეჟნევი: სსრ კავშირისა და საფრანგეთის ხალხთა ინტერესებისათვის

პარიზი. 26 მარტი. (საქინფორმი). საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის უმაღლესი დონის მოსკოვის მოლაპარაკებასთან დაკავშირებით საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის სავაჭრო პალატის ორგანომ ჟურნალმა „ვაჭრობა და თანამშრომლობამ“ გამოუშვა სპეციალური ნომერი, რომელიც ეძღვნება ორი ქვეყნის მზარდი სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხებს.

ჟურნალის ნომერი იწყება მკითხველისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევისა და საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ვ. ჟისკარ დესტენის მიმართვით.

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი წერს:

უწინარეს ყოვლისა, მადლობა უნდა ვუძღვნა ჟურნალ „ვაჭრობა და თანამშრომლობის“ რედაქციას იმისათვის, რომ მიგვიწვია გამოვსულიყავით მის ფურცლებზე ჩვენი ორი ქვეყნის ხელმძღვანელობის მორიგი შეხვედრის წინ.

პრეზიდენტი ჟისკარ დესტენი საბჭოთა კავშირში უნდა ჩამოვიდეს რთულ და პასუხსაგებ მომენტში. ეს სირთულე განპირობებული არ არის რაიმე სიძნელეებით საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ურთიერთობაში. პირიქით, ჩვენი ურთიერთობა საფრანგეთთან სავსებით სასიკეთოდ ვითარდება. იგი აშკარად ისახავს მიზნად თანამშრომლობის გაღრმავებას, დაძაბულობის შენელებას, საერთაშორისო ცხოვრებაში კეთილმეზობლობის პრინციპების დამკვიდრებას. სირთულე გამომდინარეობს იმ სხვადასხვა ჯურის ძალების აქტიურობიდან, რომლებიც — ვუწოდოთ საგნებს თავისი სახელი — ცდილობენ ხალხს დააბრუნონ უკან — „ცივი ომის“ ხანაში, გააქარწყლონ ყოველივე ის დადებითი მსოფლიო პოლიტიკაში, რაც მიღწეულია სსრ კავშირის, საფრანგეთისა და მთელი რიგი სხვა ქვეყნების ენერგიული მონაწილეობით.

ევროპამ სხვებზე მეტად მოიგო დაძაბულობის შენელებით, თუმცა სწორედ ამ რაიონში მოხდა შეიარაღებისა და ჯარების დიდი, ჩვენი აზრით, მეტისმეტად დიდი კონცენტრაცია. ჯერჯერობით მან სხვებზე ნაკლებად განიცადა იმ ნეგატიური პროცესების გავლენა, რომლებიც უპირისპირდებიან დაძაბულობის შენელებას, როგორც თანამედროვე საერთაშორისო განვითარების მთავარ მიმართულებას. იმისათვის, რომ არ იყოს შეფერხებები, სახელმწიფოთა თანხმობა იზრდებოდეს და მტკიცდებოდეს, კიდევ დიდი მუშაობაა საჭირო. და აქ, ისევე როგორც წინათ, ბევრი რამ იქნება დამოკიდებული საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის ურთიერთმოქმედებასა და მათი ღონისძიებების შეთანხმებაზე.

საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის განშტოებული ურთიერთობა ეყრდნობა საქმიანი კავშირის მტკიცე საძირკველს. ვაჭრობა, კომპენსაციური გარიგებანი, თანამშრომლობა მეცნიერებისა და ტექნიკის ძირითად დარგებში — ატომის მშვიდობიანი გამოყენებიდან კოსმოსის ათვისებამდე — აი ამ საძირკვლის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილები. ჩვენი ეკონომიკური ურთიერთობის როლი ყოველთვის ესმის პრეზიდენტ ჟისკარ დესტენს.

განვითარებული და ურთიერთხელსაყრელი ვაჭრობა, ეკონომიკური თანამშრომლობა და, უფრო ფართო თვალსაზრისით, სამრეწველო გამოცდილების, მეცნიერულ-ტექნიკური აზრის შედეგების გაზიარება ხელს უწყობს ორივე ქვეყნის მატერიალურ პროგრესს, საგრძნობ სარგებლობას აძლევს როგორც საბჭოთა კავშირის, ისე საფრანგეთის ხალხებს. ჩვენ იმის მომხრენი ვართ, რომ კვლავაც ამაღლდეს ეკონომიკური გაცვლის დონე და ხარისხი. და, როგორც ჩანს, საჭიროა უფრო გაბედულად მოვკიდოთ ხელი პერსპექტიული ფორმის თანამშრომლობას, როგორიც არის კოოპერაცია და წარმოების სპეციალიზაცია, შეძლებისდაგვარად ყველაფერი ეს გადავიყვანოთ გრძელვადიან საფუძველზე შესაბამისი შეთანხმებების დადების გზით.

ესა და სხვა თემები უთუოდ წამოიჭრება პრეზიდენტ ვ. ჟისკარ დესტენთან მოლაპარაკების დროს, რომელიც მიმდინარე წლის მარტის დამლევს არის გათვალისწინებული. დარწმუნებული ვართ, რომ მისი ვიზიტი საბჭოთა კავშირში საშუალებას მოგვცემს დავსახოთ საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ურთიერთობის ახალი მიჯნები პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სხვა დარგებში ორივე ქვეყნის ხალხთა ინტერესებისათვის, მშვიდობისა და დაძაბულობის შენელების ინტერესებისათვის.

საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის თანამშრომლობა, ნათქვამია ჟურნალის მკითხველებისადმი ვ. ჟისკარ დესტენის მიმართვაში, საერთაშორისო დაძაბულობის შენელების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, საფრანგეთის საგარეო პოლიტიკის მუდმივი ფაქტორია.

მიმდინარე წლის მარტში ჩემი ვიზიტი მოსკოვში დაადასტურებს, რომ, თუ თანამშრომლობის ფორმები შეიძლება შეიცვალოს, მისი სულისკვეთება უცვლელი რჩება. მივემგზავრები სსრ კავშირში პრეზიდენტ ლ. ი. ბრეჟნევის მიწვევით და მწამს საფრანგეთ-სსრ კავშირის ურთიერთობის მომავალი. ვიცი, რომ პრეზიდენტი ლ. ი. ბრეჟნევი პირადად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ამ თანამშრომლობის წარმატების უზრუნველყოფის საკითხებს. უფრო მეტიც, საბჭოთა ეკონომიკის რეგულარულმა ზრდამ, მისმა განუხრელმა მოდერნიზაციამ, სსრ კავშირის უდიდესმა ბუნებრივმა სიმდიდრეებმა მომავალში უნდა უზრუნველყოს სსრ კავშირისა და დასავლეთის ტექნოლოგიური და სამრეწველო ურთიერთობის მუდმივი ხასიათი.

## ქმნიან მტკიცე ბაზას

### ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

**პრაღა. (საქინფორმი). აქ მუშაობა დაამთავრა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა.**

პლენუმზე საბოლოო სიტყვა წარმოთქვა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა გ. ჰუსაკმა. მან ხაზი გაუსვა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს 1979-1980 წლების გეგმის წარმატებით შესრულებას მომავალი მეშვიდე ხუთწლედის მტკიცე ბაზის შექმნისათვის.

პლენუმმა მიიღო დადგენილება ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის მე-15 ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისა და სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის განვითარების შემდგომი ამოცანების შესახებ.

## პორტუგალიელ კომუნისტთა დღესასწაული

სანტარენი, 26 მარტი. (საქინფორმი). ათიათასობით კაცმა მიიღო მონაწილეობა გაზაფხულის დღესასწაულში, რომელიც აქ პორტუგალიის კომუნისტურმა პარტიამ მოაწყო. დღესასწაულმა ჩაიარა დემოკრატიული ძალების შეკავშირების, მათი მტკიცე გადაწყვეტილების ნიშნით იბრძოლონ აპრილის რევოლუციის მონაპოვრებისადმი მემარჯვენე ძალების შეტევის წინააღმდეგ. სამი დღის მანძილზე სანტარენის სასოფლო-სამეურნეო ბაზრის ტერიტორიაზე გამოფენილი იყო კოოპერატივების პროდუქცია, მოწყობილი იყო კომუნისტთა საქმიანობის ამსახველი ფოტოგამოფენა, მუშაობდნენ წიგნის კიოსკები, რომლებშიც იყიდებოდა მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებები, პორტუგალიის კომპარტიის დოკუმენტები, პორტუგალიურ ენაზე გამოცემული საბჭოთა ჟურნალები, სამკერდე ნიშნები, მარკები, ფირფიტები.

## იგერიებენ პეკინის ხრიკებს

ვიენტიანი. (საქინფორმი). ლაოსის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოაქვეყნა მიმართვა პარტიის ყველა წევრის, არმიის მეომრებისა და ლაოსელი ხალხისადმი ლაოსის სახალხო-რევოლუციური პარტიის შექმნის 24-ე წლისთავთან დაკავშირებით.

მრავალეროვანი ლაოსელი ხალხი, ნათქვამია მიმართვაში, თავისი პარტიის შექმნის წლისთავს აღნიშნავს იმ ახალ წარმატებათა ვითარებაში, რომლებიც ლაოსის სახალხო-რევოლუციურმა პარტიამ და ქვეყნის მშრომელებმა მოიპოვეს მშვიდობიანი სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე. ლაოსელი ხალხის წარმატებები, რომლებიც მან მოიპოვა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის 30 წლის მანძილზე და მშვიდობიანი სოციალისტური მშენებლობის წლებში, მნიშვნელოვანწილად საბჭოთა კავშირის, სხვა სოციალისტური ქვეყნების უდიდესი მხარდაჭერისა და დახმარების, ლაოსის, ვიეტნამისა და კამპუჩიის ხალხების საბრძოლო სოლიდარობის შედეგია.

ლაოსელ ხალხს მსოფლიოს მთელ პროგრესულ ძალებთან ერთად გულწრფელად უხარია ჩინელი აგრესორების წინააღმდეგ გმირი ვიეტნამელი ხალხის დიდი გამარჯვება.

მიმართვაში გადაჭრითაა დაგმობილი პეკინის მოქმედება, რომელმაც ლაოსის საზღვრებთან თავი მოუყარა ჯარების დიდ რაოდენობას და სამხედრო მანევრების სერია დაიწყო იქ. ლაოსის სახალხო-რევოლუციური პარტია პროტესტს აცხადებს იმის გამო, რომ ლაოსის ტერიტორიაზე შეგზავნეს ჩინელი ჯაშუშები ძირგამომთხრელი პროპაგანდისათვის, მრავალეროვანი ლაოსელი ხალხის ერთიანობის გათიშვის, ქვეყანაში უშიშროებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის მიზნით.

ლაოსის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მთელ ლაოსელ ხალხს მოუწოდებს უფრო მჭიდროდ დაირაზმონ ლაოსის სახალხო-რევოლუციური პარტიისა და ლაოსის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის გარშემო, გააორკეცონ სიფხიზლე, მზად იყვნენ იმისათვის, რომ ყველა ფრონტზე დაიცვან სოციალისტური სამშობლოს დამოუკიდებლობა, სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა.

ლაოსის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გულწრფელი მადლობა გამოთქვა საბჭოთა კავშირისა და ვიეტნამის, სხვა მოძმე სოციალისტური ქვეყნების პარტიების, მთავრობებისა და ხალხისადმი ლაოსის თავდაცვისა და მშენებლობის საქმეში უდიდესი დახმარებისათვის, განუწყვეტელი ეფექტიანი მხარდაჭერისათვის. ლაოსის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებს, კომუნისტურ და მუშათა პარტიებს, მსოფლიოს საერთაშორისო ორგანიზაციებსა და მშვიდობისმოყვარე ძალებს მოსთხოვონ ჩინეთის მმართველ წრეებს შესწყვიტონ მთელი თავიანთი მოქმედება, რომელიც საფრთხეს უქმნის ლაოსის სუვერენიტეტსა და დამოუკიდებლობას.

## მონოპოლიებს — „მწვანე ქუჩა“

ვაშინგტონი, 26 მარტი. (საქინფორმი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯ. კარტერმა კონგრესს განსახილველად წარუდგინა კომპლექსური გეგმა, რომელიც მიზნად ისახავს რკინიგზის ქსელის მრავალი წლის კრიზისის დაძლევასა და მისი რენტაბელობის ამაღლებას.

ოფიციალური მონაცემების თანახმად, ამჟამად ქვეყანაში მთელი გადასაზიდი ტვირთის ძირითადი ნაწილისათვის გამოიყენება მხოლოდ 64 ათასი კილომეტრი რკინიგზა, მაშინ როცა მისი საერთო სიგრძეა 320 ათასი კილომეტრი. თანამედროვე მოწყობილობის ნაკლებობის გამო ტვირთზიდვა არა მარტო ძალზე ძვირია, არამედ ტვირთის შეფერხებით მიწოდების ერთ-ერთი მთავარი მიზეზიცაა.

მაგრამ, საქმეა, რომ მთავრობის გეგმამ ამერიკის შეერთებული შტატების ტრანსპორტი ჩიხიდან გამოიყვანოს.

ვაშინგტონი აცხადებს, რომ საჭიროა „ფედერალური სახსრების დაზოგვა“ და აპირებს სრული თავისუფლება მიანიჭოს საწარმოებს, რათა გაზარდონ ტარიფები რაც, როგორც უკვე გამოანგარიშებულია, წელიწადში მათ მოგებას დაახლოებით ათობით მილიარდი დოლარით გაზრდის.

## ხელს აფარებენ

**ვაშინგტონი, 24 მარტი. (საქინფორმი). ამერიკელ ომის ვეტერანთა ორგანიზაციამ დაგმო ოფიციალური ხელისუფალნი იმის გამო, რომ ხელს აფარებენ ფაშისტ დამნაშავეებს, რომლებმაც შეერთებულ შტატებში დაიბუდეს ჰიტლერული გერმანიის განადგურების შემდეგ.**

ნაცისტებისათვის თავშესაფრის მიცემით შეერთებულმა შტატებმა ეჭვქვეშ დააყენეს თავიანთი ერთგულება საერთაშორისო კანონებისადმი, განაცხადა აქ გამართულ პრესკონფერენციაზე ორგანიზაციის ეროვნულმა თავმჯდომარემ ტ. ლეშკევიჩმა. ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის სამინისტროს ღონისძიებანი, რომლებიც მან საზოგადოებრიობის ზეგავლენით მოიმოქმედა, არ არის ეფექტიანი. ამის შედეგად შეერთებულ შტატებს დღემდე აფარებენ თავს პირნი, რომელთა მონაწილეობაც მასობრივ მკვლელობებსა და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ სხვა დანაშაულობებში დოკუმენტურად არის დადგენილი.

იუსტიციის სამინისტროს მონაცემებით, თქვა ტ. ლეშკევიჩმა საქინფორმის კორესპონდენტთან საუბარში ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობს 200-ზე მეტი ფაშისტი სამხედრო დამნაშავე. მამხილებელი საბუთების სიმრავლის მიუხედავად, მათ წინააღმდეგ ფაქტიურად არავითარ ზომებს არ იღებენ. უფრო მეტიც, 1980 საფინანსო წელს მთავრობას განზრახული აქვს მნიშვნელოვნად შეამციროს ასიგნებანი იმ პროგრამებზე, რომლებიც ქვეყანაში ნაცისტი ჯალათების გამოვლენასთან არის დაკავშირებული.

## შოთა ეფრემის ძე ბუხრაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



მოულოდნელად გარდაიცვალა საქართველოს სსრ სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა მთავარი სამმართველოს უფროსი, 1945 წლიდან სკკპ წევრი, შოთა ეფრემის ძე ბუხრაშვილი — გამოცდილი და მაღალკვალიფიციური სპეციალისტი.

შ. ბუხრაშვილი დაიბადა 1924 წელს თბილისში, მუშის ოჯახში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ 18 წლის ჭაბუკი საბჭოთა არმიის რიგებში გაიწვიეს. 1943 წელს იგი ფრონტიდან მძიმედ დაჭრილი დაბრუნდა და განკურნების შემდეგ შევიდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტზე, რომელიც 1949 წელს დაამთავრა.

შრომითი საქმიანობა შ. ბუხრაშვილმა ჯერ კიდევ სწავლის წლებში დაიწყო. 1952-1958 წლებში იგი იყო საქართველოს კომპარტიის თბილისის საოლქო კომიტეტის ტრანსპორტის განყოფილების ინსტრუქტორი, ხოლო 1958 წელს დაინიშნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილების ინსტრუქტორად.

1959 წელს შ. ბუხრაშვილი აირჩიეს პარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად.

1962 წლიდან შ. ბუხრაშვილი სათავეში ჩაუდგა საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს, შემდეგ ეკავა რესპუბლიკის მშენებლობის მინისტრის პირველი მოადგილის, თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილის პოსტები.

1965-დან 1973 წლამდე შ. ბუხრაშვილი იყო თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე. ამ [illegible] მანძილზე [illegible] რამ გააკეთა საქალაქო მეურნეობის განმტკიცებისა და განვითარებისათვის, საბჭოთა საქართველოს დედაქალაქის კეთილმოწყობისათვის.

1973 წელს შ. ბუხრაშვილი დაინიშნა საქართველოს სსრ სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა მთავარი სამმართველოს უფროსად, სადაც სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე მუშაობდა. ამ პასუხსაგებ სამეურნეო პოსტზე მან გამოავლინა ორგანიზატორული ნიჭი, ინჟინრის მდიდარი ცოდნა. შ. ბუხრაშვილი, როგორც ხელმძღვანელი, გამოირჩეოდა კომპეტენტურობითა და ერუდიციით, ღრმა პროფესიული ცოდნით, პრინციპულობითა და მომთხოვნელობით, უნარი შესწევდა დაერაზმა კოლექტივი პარტიისა და მთავრობის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის. იგი იყო შესანიშნავი მეგობარი და ამხანაგი, გულისხმიერი ადამიანი.

შ. ბუხრაშვილი სხვადასხვა დროს არჩეული იყო ჭიათურის, თბილისის საქალაქო საბჭოების დეპუტატად, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტისა და მისი ბიუროს წევრად, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრად, სკკპ ყრილობების დელეგატად, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

პარტიამ და მთავრობამ დიდად დააფასეს შ. ბუხრაშვილის დამსახურება — იგი დაჯილდოებული იყო ორი შრომის წითელი დროშის ორდენით, ბევრი მედლით.

შესანიშნავი სპეციალისტის, მეგობრისა და ადამიანის, კომუნისტური პარტიის ერთგული შვილის შოთა ეფრემის ძე ბუხრაშვილის ხსოვნა სამუდამოდ დარჩება ჩვენს გულში.

ე. ა. შევარდნაძე, პ. გ. გილაშვილი, ზ. ა. პატარიძე, გ. ნ. ენუქიძე, ა. ნ. ინაური, გ. ვ. კოლბინი, ო. თ. კულიშევი, თ. ნ. მენთეშაშვილი, ჯ. ი. პატიაშვილი, ო. ე. ჩერქეზია, ზ. ა. ჩხეიძე, ნ. ა. ჭითანავა, ს. ე. ხაბეიშვილი, გ. ვ. ადლეიბა, თ. ი. მოსაშვილი, ვ. რ. პაპუნიძე, ფ. ს. სანაკოევი, ჟ. კ. შარტავა, გ. ა. ანდრონიკაშვილი, ი. ო. ანდრიაძე, ი. ი. აროზელიძე, ო. ა. ბიზილეიშვილი, გ. გ. გამრეკელი, ვ. დ. გოცირიძე, ნ. ა. გუნცაძე, გ. ო. ზატუაშვილი, ა. ი. კოპლატაძე, ნ. ა. მეძმარიაშვილი, გ. ზ. მირიანაშვილი, ნ. ა. ჟვანია, ა. ნ. საგანელიძე, ა. ა. ფოჩხუა, ი. ი. ქედიშვილი, მ. ა. ცისკარიშვილი, ი. ა. ხარატიშვილი.

---

საქართველოს მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა მთავარი სამმართველოს „საქმთავარმონტაჟსპეცმშენის“ უფროსი

**შოთა ეფრემის ძე ბუხრაშვილი**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

### მოკლედ
## ყოველი მხრიდან

26 მარტი

ჰავანა. კუბის დედაქალაქის კარლ მარქსის სახელობის თეატრში გაიმართა საზეიმო კრება, რომელიც მიეძღვნა კუბის სახელმწიფო უშიშროების ორგანოების 20 წლისთავს. სხდომას დაესწრნენ კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, კუბის რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ფიდელ კასტრო, პარტიისა და სახელმწიფოს სხვა ხელმძღვანელები.

დაკა. დამოუკიდებლობის დღის ეროვნული დღესასწაულის წინ ბანგლადეშის მთავრობამ გაათავისუფლა 447 პატიმარი, მათ შორის 185 პოლიტიკური პატიმარი, იუწყება ბანგლადეშის დეპეშათა სააგენტო. უკანასკნელი რამდენიმე თვის მანძილზე საპატიმროებიდან გამოშვებულია 10 ათასზე მეტი პოლიტიკური პატიმარი, მათ შორის სახალხო ლიგის რამდენიმე ცნობილი მოღვაწე.

პეკინი. გაზეთი „ძეფან ჟიბაო“ იუწყება, რომ ჩინეთის უდიდეს ქალაქ შანხაიში ქალაქის უშიშროების სამმართველოს განკარგულებით აპატიმრებენ „ძირგამომთხრელ ელემენტებს“ და ახორციელებენ ღონისძიებებს „ძირგამომთხრელი“ დაძიაოების, ფურცლებისა და ლოზუნგების გამოკვრის აღკვეთისათვის. ანალოგიური ღონისძიებანი ამ ბოლო დროს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სხვა ქალაქებშიც ხორციელდება.

ადის-აბება. ეთიოპიის დედაქალაქში აფრიკელთა და არაბთა განმათავისუფლებელი მოძრაობების აკრედიტებულმა წარმომადგენლებმა მტკიცედ დაგმეს ამერიკის შეერთებული შტატების, ეგვიპტისა და ისრაელის პირის შეკვრა, რომელიც მიზნად ისახავს იმპერიალისტური დიქტატის დამყარებასა და ახლო აღმოსავლეთისა და აფრიკის პროგრესული სახელმწიფოებისათვის ძირის გამოთხრას.

ბრიუსელი. ბელგიაში მთლიანად უმუშევართა რიცხვმა მიმდინარე წლის მარტის შუა რიცხვებში 298.701-ს მიაღწია. ეს ოფიციალურად გამოაცხადა დასაქმების საკითხთა ეროვნულმა სამმართველომ.

ისევე როგორც წინათ, უმუშევართა არმიის 60 პროცენტზე მეტს ქალები შეადგენენ.

## რასისტთა ავი ზრახვები და მათი დამქაშები





სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ხელისუფალნი, დასავლეთის სახელმწიფოებზე დაყრდნობით, ყოველი საშუალებით ცდილობენ ჩაშალონ ნამიბიისათვის ნამდვილი დამოუკიდებლობის მინიჭების პროცესი, აგრეთვე შექმნან რასისტებისათვის სასურველი მარიონეტული რეჟიმი.

სურათებზე: მარცხნივ — ოვამბოლენდის სამხედრო ბაზის საერთო ხედი; მარჯვნივ — სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის 60-ათასიანი საოკუპაციო არმიის ჯარისკაცები, რომლებსაც ეყრდნობა პრეტორიის კოლონიური რეჟიმი.

კამერა პრეს-საქინფორმის ფოტო.

---

ორმა დიამეტრულად საწინააღმდეგო ფაქტმა მკაფიოდ განსაზღვრა ახლო აღმოსავლეთში ძალთა ახალი თანაფარდობა თანამედროვე პირობებში. მხედველობაში გვაქვს, ერთი მხრივ, ეგვიპტე-ისრაელის ხელშეკრულების ოფიციალური გაფორმება გუშინ თეთრ სახლში, და მეორე მხრივ, არაბული ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი ბაღდადში, რომელიც იხსნება დღეს და მიზნად ისახავს ეგვიპტის წინააღმდეგ მიმართული სპეციალური სანქციების შემუშავებას.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ წყალგამყოფი ამჟამად შორს გასცდა ეგვიპტე-ისრაელის რეგიონს. მის ერთ მხარეს, არაბული ქვეყნების უმრავლესობასთან ერთად დგანან საბჭოთა კავშირი, სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნები, მრავალი განვითარებადი სახელმწიფო. მეორე მხარეს ჩვენ ვხედავთ შეერთებულ შტატებს, მათ მოკავშირეებს, მსოფლიოს რეაქციულ ძალებს.

საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. გრომიკოს სირიის ხელმძღვანელებთან შეხვედრის შედეგად მსოფლიო საზოგადოებრიობა ერთხელ კიდევ დარწმუნდა, თუ რაოდენ პრინციპული და უცვლელია საბჭოთა მთავრობის პოზიცია. ჩვენ მხარს ვუჭერთ არაბთა ბრძოლას საყოველთაო და არა სეპარატული შეთანხმებისათვის, პალესტინის პრობლემის სამართლიან გადაჭრას.

პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის ხელმძღვანელმა ი. არაფატმა აღნიშნულ შეთანხმებას უწოდა მსოფლიოს იმპერიალისტური და სიონისტური ძალების შეთქმულების შედეგი, ხოლო აიათოლა ჰომეინიმ — ისლამისა და არაბ მოძმეთა ღალატი.

მიუხედავად ამისა, ვაშინგტონში ხელოვნურად გაღვივებული პოლიტიკური ეიფორია სუფევს. ზეიმში მონაწილეობს 1600 სტუმარი (მათ შორის კონგრესის სრული შემადგენლობა), უამრავი კორესპონდენტი და სხვანი. ამერიკის პროპაგანდა (ნიშანდობლივია, რომ ხელშეკრულების ხელმოწერის წინა დღით პრეზიდენტმა კარტერმა უმაღლესი შეფასება მისცა ამერიკის ტელევიზიისა და რადიოს მუშაობას) ტყავში ძვრება, ოღონდ დაამტკიცოს, თითქოს ახლო აღმოსავლეთის ისტორიაში გადაშლილიყოს ახალი ფურცელი, მსოფლიოს ამ რაიონში დამკვიდრებულიყოს მშვიდობა და ბოლო მოღებოდეს 30-წლიან კონფლიქტს.

აზრით, ეგვიპტე-ისრაელის ხელშეკრულებამ ისეთი ნაყოფი უნდა გამოიღოს, რომელიც მიიზიდავს არაბული სამყაროს სხვა სახელმწიფოებსაც. შეერთებულ შტატებში მიაჩნიათ, რომ ყველაზე „სუსტი რგოლი“ არაბული ქვეყნების ერთიან ფრონტში — ეს არის იორდანია და საუდის არაბეთი და ვაშინგტონის დიპლომატიური შეტევა სწორედ ამ მიმართულებით ვითარდება.

საინტერესოა, რომ ამერიკის მთავრობის განცხადებით, ამ რაიონში სტაბილურობის შენარჩუნების მიზნით ვაშინგტონი დახმარებას ჰპირდება არა მარტო ეგვიპტესა და ისრაელს, არამედ

### „კომუნისტის“ საერთაშორისო მიმოხილვა

# ბრძოლა გრძელდება

### გასულ კვირას

მაგრამ ამ პოლიტიკური კომედიის სამივე მონაწილეს კარგად ესმის, რომ ეს ბრძოლის დასრული კი არა, მისი შემდგომი გამწვავება (ამ მხრივ, ჩვენ მართლაც შეგვიძლია ვილაპარაკოთ ახლო აღმოსავლეთის ისტორიაში ახლად გადაშლილ ფურცელზე). საგულისხმოა, რომ უკვე ახლა მიღებულია საგანგებო ზომები, რომელთა მიზანია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შემდგომი გააქტიურების შეჩერება (ამერიკის, ეგვიპტისა და ისრაელის ამჟამად სავსებით შეხმატკბილებული პროპაგანდა ამას „ტერორიზმის წინააღმდეგ“ ბრძოლას უწოდებს).

ამავე დროს ვაშინგტონში ცდილობენ წინდახედულად იმოქმედონ. თეთრი სახლის პატრონის სხვა „ზომიერ რეჟიმებსაც“. ცხადია, რომ ირანის ამბების აზრდილი ზოგიერთს ძილს უფრთხობს პოტომაკის ნაპირებზე.

ახლო აღმოსავლეთში ამბების ამჟამინდელი განვითარება კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ჭეშმარიტებას, რომლის მიხედვითაც ლოკალური კონფლიქტების პერიოდი ფაქტიურად ჩაბარდა ისტორიას, თითქმის ყოველ შეტაკებას (კორეის ომიდან მოყოლებული), ყოველ ძვრას ამა თუ იმ სახელმწიფოს შიგნით (ანგოლა, კამპუჩია, ირანი) და ზოგჯერ მთავრობის შეცვლასაც კი საერთაშორისო რეზონანსი აქვს.

ამ მხრივ საგულისხმოა ის კრიზისული ვითარება, რომელშიც იტალიის, ინგლისისა და პორტუგალიის მთავრობები აღმოჩნდნენ. სიძნელეები, რომლებიც ამჟამად ამ მთავრობებს შეექმნათ, დაკავშირებულია უპირველეს ყოვლისა იმ ფაქტთან, რომ მათ თავი ვერ გაართვეს არსებულ ეკონომიკურ სიძნელეებს, უმუშევრობას, ინფლაციას. ამასთან ერთად მხედველობაში უნდა მივიღოთ მემარცხენე ძალების გააქტიურება და მათი გავლენის ზრდა.

როგორც ცნობილია, ჯ. ანდრეოტის მთავრობა იტალიაში მაშინ გადადგა, როდესაც დაკარგა კომუნისტების მხარდაჭერა. მოტა პინტუს მთავრობის (პორტუგალია) პოზიცია შეარყია იმან, რომ პარლამენტმა უარყო ქვეყნის 1979 წლის ბიუჯეტის პროექტი და განვითარების გეგმა; ინგლისის ლეიბორისტული მთავრობა უფსკრულის პირას აღმოჩნდა არა მარტო შოტლანდიისა და უელსის ავტონომიის საკითხთან დაკავშირებით, არამედ იმ უძლიერესი საგაფიცვო მოძრაობის გამოც, რომელშიც 1,5 მილიონი მშრომელი მონაწილეობს.

ეკონომიკური პრობლემები დღეს დასავლეთში იმდენად რთულ საკითხად მიაჩნიათ, რომ მათი გადაჭრის ცდები მხოლოდ ეროვნულ ჩარჩოებში ფაქტიურად შეუძლებელია. ამ მხრივ საყურადღებოა 23 მარტს ტოკიოში დამთავრებული შვიდი წამყვანი კაპიტალისტური სახელმწიფოს (ამერიკის შეერთებული შტატები, იაპონია, დასავლეთ გერმანია, საფრანგეთი, ინგლისი, იტალია და კანადა) თათბირი, რომლის მსვლელობაში გამოვლინდა მწვავე წინააღმდეგობანი საგარეო ვაჭრობის საკითხებში (ვაშინგტონსა და „საერთო ბაზარს“ ამჟამად განსაკუთრებით აწუხებთ მზარდი ექსპორტი იაპონიიდან და ამ ქვეყნის მუდამ დადებითი სავაჭრო სალდო).

ორ დღეში დაასრულა მუშაობა კიდევ ერთმა თათბირმა ბაგამის კუნძულებზე, სადაც ერთმანეთს შეხვდნენ ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობისა და განვითარებადი სამყაროს 50-ზე მეტი ქვეყნის წარმომადგენელი. „ჩრდილოეთისა“ (განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნები) და „სამხრეთის“ (ახლად წარმოქმნილი სახელმწიფოები) ურთიერთობა კარგა ხანია აწუხებს დასავლეთს. აქ საქმე ეხება არა მარტო ეკონომიკურ პრობლემებს (ვთქვათ, ნავთობის პრობლემა, იმიგრაციული პოლიტიკა, უცხოეთიდან შემოსული მუშახელი და ა. შ.), არამედ სოციალურ-პოლიტიკურ საკითხებსაც. დასავლეთი ცდილობს ეკონომიკური და სამხედრო დახმარების გზით შეინარჩუნოს გავლენა მსოფლიოს ამ უზარმაზარ და, ორ პოლიტიკურ სისტემას შორის ბრძოლის თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვან რაიონში.

მაგრამ მიმდინარე პროცესის შეჩერება უკვე შეუძლებელია, თუნდაც ამისათვის მოიშველიონ ისეთი ხალხმრავალი ქვეყნის რესურსები, როგორიც ჩინეთია (ამ ქვეყნის აგრესიის მარცხმა ინდოჩინეთში ერთხელ კიდევ დაადასტურა ეს უდავო ჭეშმარიტება). ბრძოლა მშვიდობისა და პროგრესისათვის წარმატებით ვითარდება.

**ედ. მენაბდე,**
„კომუნისტის“ პოლიტიკური მიმომხილველი.

---

### წერილი რედაქციას

## რას წერს ნამდვილად ვ. დიცე?

თქვენი გაზეთის ამა წლის 18 თებერვლის ნომერში დაიბეჭდა მცირე ინფორმაცია „გერმანელი მწერლის თვალით“, რომელშიც ავტორი გაზეთის მკითხველებს აცნობს ვალტერ დიცეს წიგნის — „აქ და იქ“ შინაარსს.

ბოლო ხანებში გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში განსაკუთრებით გაცხოველდა ინტერესი საქართველოსადმი, ქართული კულტურის, ხელოვნებისა და ლიტერატურისადმი. მარტო 70-იან წლებში გამოქვეყნდა პოეტებისა და მწერლების აქსელ შულცეს, ზარა კირშის, რაინერ კირშის, ევა შტრიტმატერის, ადოლფ ენდლერის, ელკე ერბის, ბენო პლუდრას, რიჰარდ კრისტის, ერვინ შტრიტმატერისა და სხვათა ნაწარმოებები, რომლებშიც ზოგან პოეტურად, ზოგან რეპორტაჟულად ავტორები, ცდილობენ საქართველოს ფენომენის გააზრებასა და ალქმა-ათვისებას. (ამასთან დაკავშირებით იხ. „ცისკარი“ № 7, 1978 და „ლიტერატურნაია გრუზია“ № 1, 1979, სადაც დაწვრილებით არის გადმოცემული თქვენი გაზეთის ინფორმაციაში მოხსენიებული წიგნის „ქართული ნაწილის“ შინაარსიც).

ვფიქრობ, საგაზეთო ინფორმაციის დანიშნულება უნდა იყოს მკითხველებისათვის ზუსტი, სწორი, შეულამაზებელი და დროული ცნობების მიწოდება, რასაც ვერ ვიტყვით თქვენს გაზეთში გამოქვეყნებულ ინფორმაციაზე.

ვალტერ დიცე მეცნიერია, ლიტერატურათმცოდნე და არა მწერალი, მისი წიგნი გამოქვეყნდა 1977 წ. (ე. ი. 2 წლის წინათ). თქვენი ინფორმაციის მიხედვით კი მკითხველს ექმნება შთაბეჭდილება, თითქოს იგი ახლახან დაბეჭდილიყოს. ფასანაურში ყოფნისას მას ახლდნენ არა გერმანისტები (მრავლობით რიცხვში), როგორც თქვენს გაზეთშია აღნიშნული, არამედ ერთი გერმანისტი, და ფასანაურში იგი მხოლოდ ერთი დღე იყო და არა რამდენიმე დღე. მაგრამ ჩვენ ამ წვრილმანებზე არაფერს ვიტყოდით, რომ კიდევ ერთი უსიამოვნო „შეცდომა“ არ გაპარულიყო ინფორმაციაში. მასში წერენ: „აქვე მაღალ შეფასებას აძლევს ქართველი გერმანისტების (აქ ჩამოთვლილია გვარები)... გამოკვლევებს“.

მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ ვალტერ დიცეს წიგნში „აქ და იქ“ არათუ მაღალი, არამედ საერთოდ არავითარი შეფასება არ ეძლევა ქართველი გერმანისტების გამოკვლევებს, უფრო მეტიც, საერთოდ ერთხელაც, გაკვრითაც კი არ არის ნახსენები რომელიმე ქართველი გერმანისტის თუნდაც ერთი სტრიქონი (დიცე უბრალოდ იხსენებს მათთან შეხვედრებს).

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ავტორს თვალითაც არ უნახავს (ყოველ შემთხვევაში, არ წაუკითხავს) ვალტერ დიცეს ეს წიგნი.

**ნოდარ კაკაბაძე.**

---

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის მეცნიერული კომუნიზმის სექტორი ა. წ. 28 მარტს აწყობს პრობლემური სემინარის მორიგ მეცადინეობას თემაზე:

**„ტრადიცია და თანამედროვეობა“.**

(მომხსენებელი — რ. პეტრიაშვილი).



# მზისა და მიწის ძეგლი

**მთაწმინდის პანთეონის 50-ე წლისთავი**

**ისევე,** როგორც საქართველო წარმოუდგენელია უთბილისოდ, თბილისიც წარმოუდგენელია უმთაწმინდოდ, რადგანაც იგი ჩვენი დედაქალაქის გვირგვინია, მისი „მარადიული თვალია“, „რწმენა და წყლულია“, „მზისა და დედამიწის ძეგლია“.

მთაწმინდა ყველაზე პოეტური ადგილია თბილისში. მისი ღირსება და ფასი კიდევ უფრო გაიზარდა მას შემდეგ, რაც ამ წმინდა მიწაზე სამუდამოდ დაიდეს ბინა საქართველოს დიდმა მოაზროვნეებმა, პოეტებმა, განმანათლებლებმა.

მრავალი საპატიო სტუმარი ახსოვს მთაწმინდას. აქ თავის დროზე მუხლი მოუყრიათ მსოფლიოს დიდ მოაზროვნეებს: ნიკოლოზ ბარათაშვილს, ალექსანდრე პუშკინს, ლევ ტოლსტოის, ალექსანდრე დიუმას, ოვანეს თუმანიანს, ვლადიმერ მაიაკოვსკის, მაქსიმ გორკის, პეტრე ჩაიკოვსკის, ნიკოლოზ ტიხონოვს, თეოდორ დრაიზერს და სხვებს.

თბილისის ღირსშესანიშნავ ადგილთა შორის, რომლებსაც როგორც სიძველეთა ძეგლს, დღემდე არ დაუკარგავთ დიდი ეროვნული მნიშვნელობა, თვალსაჩინოა მთაწმინდის ფერდობზე აღმართული მამა დავითის ეკლესია.

მამა დავითის ეკლესია თავის საწყისს 547 წლიდან იღებს. ეს ის დროა, როდესაც ფარსმან მეექვსის მეფობის დროს საქართველოში ცამეტი სირიელი მამა მოსულა, მათ შორის დავითიც. მამა დავითს სამოღვაწეოდ ახლად დაარსებული თბილისი აურჩევია, აქ მოსულა და უდაბურ ტყეში, უკაცრიელ მთის ფერდობზე დაუდვია ბინა, გამოქვაბულისთვის შეუფარებია თავი და პატარა სენაკი და სამლოცველო აუგია. დავითის გარეჯში წასვლის შემდეგ თბილისელებს მთაწმინდაზე ეკლესია აუშენებიათ და მამა დავითის სახელი უწოდებიათ.

მამა დავითის მთას, მთაწმინდასაც უწოდებენ. ეს სახელი მისთვის ათონის მთაწმინდის მონასტრის პატივსაცემად შეურქმევიათ. ათონში მონასტერი ქართველ მეფეებს დაუფუძნებიათ და ათონის მთის სახელი — „მთაწმინდა“ უწოდებიათ. შემდგომში ათონის ივერთა მონასტრის „ბინათ-ეზო“ საქართველოშიც გადმოუტანიათ. მთის სახელიც სწორედ აქედან წარმოდგება.

მამა დავითის ეკლესიაში საზოგადოებრივ-საგანმანათლებლო საქმიანობასაც ეწეოდნენ. აქ 1891 წელს ჩამოყალიბდა ქალთა სამრევლო სკოლა.

ეკლესიაში რამდენიმე საფლავია დაცული. მათ შორის ბარბარე ანდრევსკის, რომანოზ ბაგრატიონისა და ლევან მელიქიშვილის საფლავები. ბარბარე ქართველია, უთამაშია გ. ერისთავის პიესებში, რომანოზი პეტრე ბაგრატიონის ძმაა, მის სახლში დაუდგამთ ა. გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან“, ხოლო ლევანი ნიკოლოზ ბარათაშვილის სკოლის მეგობარია.

საერთოდ, პანთეონის შექმნის იდეა XIX საუკუნის 90-იან წლებში ჩაისახა. იმხანად დიდუბის ეკლესიის საერთო სასაფლაოზე დაიწყო ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დაკრძალვა; თუმცა ეზო ოფიციალურად არ ითვლებოდა პანთეონად.

1929 წელს, ა. ს. გრიბოედოვის გარდაცვალების მეასე წლისთავზე ოფიციალურად გამოცხადდა მთაწმინდის მამა დავითის ეკლესიის ეზო საქართველოს მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონად. ამ დროისათვის აქ უკვე განისვენებდნენ ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი.

მთაწმინდის პანთეონში მთავრობის დადგენილებით 1935 წლის 18 ოქტომბერს გადაასვენეს ვაჟა-ფშაველას ნეშტი, 1938 წლის 15 ოქტომბერს — ნიკოლოზ ბარათაშვილისა, ხოლო 1940 წლის 27ოქტომბერს — იაკობ გოგებაშვილისა.

მთაწმინდის პანთეონში დაკრძალულნი არიან ქართველი ერის ღირსეული შვილები, კერძოდ ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ვაჟა ფშაველა, იაკობ გოგებაშვილი, დ. ყიფიანი, დ. ერისთავი, ნ. ნიკოლაძე, დ. კლდიაშვილი, გ. ტაბიძე, ი. გრიშაშვილი, გ. ლეონიძე, ვ. აბაშიძე, კ. მარჯანიშვილი, ი. ნიკოლაძე, ა. ცაგარელი, ნ. მუსხელიშვილი და ა. შ.

მთაწმინდის პლატოზე გაშენებულია კულტურისა და დასვენების პარკი, რომელიც ორმოცი წლის წინათ გაიხსნა.

მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონი დღეს მხოლოდ პანთეონი — ქვეყნის რჩეულ მამულიშვილთა სამუდამო განსასვენებელი როდია. ეს არის ყველასათვის სათაყვანებელი უწმინდესი ადგილი, რომელთანაც დაკავშირებულია ბევრი საზოგადოებრივი და კულტურული მნიშვნელობის მოვლენა. მასპინძლებთან ერთად პანთეონის ხშირი სტუმრები არიან საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთის მწერლები, კულტურის მოღვაწეები, მეცნიერები, აქ ხშირად ნახავთ მოსწავლეებს, სტუდენტ-ახალგაზრდობას. იმართება საუბრები, შეხვედრები, მიტინგები, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მშრომელთა პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდის აზრით, სხვა ხალხების კულტურებთან ქართული კულტურის მეგობრობისა და ურთიერთთანამშრომლობის განმტკიცება-გაფართოებაში.

**მ. ჩორგოლაშვილი,**
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.

* * *

**სურათზე:** მთაწმინდა.
**ზ. დადვაძის ფოტო.**

---

**მეთვრამეტე** გაზაფხულია, რაც პროგრესული კაცობრიობა თეატრის საერთაშორისო დღეს ზეიმობს. **„თეატრი ხალხთა შორის ურთიერთგაგებისა და მშვიდობის განმტკიცების ქმედითი საშუალებაა“**, ამ დევიზით დაედო სათავე 1961 წელს ქალაქ ვენაში თეატრის საერთაშორისო დღის ზეიმს. წლევანდელი თეატრალური ზეიმი განსაკუთრებულ საერთაშორისო მნიშვნელობას იძენს იმითაც, რომ იგი ეძღვნება ადამიანისათვის ყველაზე სანუკვარსა და საყვარელს — ბავშვებს. **„თეატრი — ბავშვებს“** — ასეთია წლევანდელი სადღესასწაულო დევიზი.

თეატრის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გაზეთ „კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტი **ა. ქანდაურიშვილი** ესაუბრა საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარეს, სსრ კავშირის სახალხო არტისტს **დიმიტრი ალექსიძეს.**

□ □

**„კომუნისტის“ ინტერვიუ**

# მეთვრამეტე საერთაშორისო...

**თეატრი: ფიქრები, შენიშვნები, პრობლემები**

**— რით გამოირჩევა თეატრის წლევანდელი საერთაშორისო დღესასწაული წინანდელთაგან? რა არის მისი ნიშანდობლივი თვისება?**

— თეატრის წლევანდელი მეთვრამეტე საერთაშორისო დღე განსაკუთრებით საზეიმოა ყველა ჩვენთაგანისთვის — ეს დღე ხომ „ბავშვის წელიწადის“ ერთ-ერთ საინტერესო მოვლენად იქცევა.

უკვე ორმოცდაათი წელია არსებობს თოჯინების თეატრის მოღვაწეთა საერთაშორისო ორგანიზაცია „უნიმა“, რომელშიც გაერთიანებული არიან ორმოცი ქვეყნის წარმომადგენლები. ათი წლის წინათ კი იუნესკოს ფარგლებში დაარსდა საბავშვო და მოზარდთა თეატრების საკმაოდ ძლიერი და დიდი გაერთიანება — საერთაშორისო ასოციაცია „ასიტეჟი“, ამ თოჯინების თეატრების მოღვაწეთა საერთაშორისო პრეზიდენტია სერგი ობრაზცოვი, ხოლო საბავშვო და მოზარდთა თეატრების ასოციაციის საბჭოთა ცენტრისა — ნატალია საცი.

**— რას გვეტყოდით „ასიტეჟისა“ და საქართველოს თეატრალურ ურთიერთობაზე?**

— გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ საქართველოს საბავშვო თეატრებმა თვალსაჩინო წარმატებას მიაღწიეს „ასიტეჟის“ ასპარეზზე. „ასიტეჟის“ სხდომები საქართველოშიც გაიმართა, ქებით მოიხსენიეს ქართული და რუსული მოზარდ მაყურებელთა თეატრების არაერთი წარმოდგენა.

**— გარდა საბავშვო წარმოდგენებისა, სადღესასწაულოდ რა პრემიერებია დედაქალაქის თეატრებში?**

— დედაქალაქის თეატრებში სადღესასწაულოდ დიდი გამოცოცხლებაა, რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურმა თეატრმა უჩვენა ლევ ტოლსტოის „მეუფება წყვდიადისა“.

რუსთაველის თეატრში მოამზადეს უნგრელი დრამატურგის მაგდა საბოს ისტორიული დრამა „ის ლამაზი, მზიანი დღე“. სპექტაკლის დასადგმელად უნგრეთიდან მოწვეული იყო ჯგუფი რეჟისორ ენდრე მარტონის ხელმძღვანელობით. ამ დადგმით თეატრი მონაწილეობას მიიღებს უნგრული დრამატურგიის დათვალიერებაშიც.

ახალი სპექტაკლით შეხვდა თეატრის დღეს მეტეხის ახალგაზრდული თეატრ-სტუდია, სადაც დაიდგა ბ. ბრეხტის „სამგროშიანი ოპერა“ (რეჟისორი — ტ. ბუხბინდერი). შაუმიანის სომხური დრამატული თეატრი 27 მარტს შეხვდება აშოტ პაპაიანის კომედიით „სიკვდილის შემდეგ შემიყვარე“. თოჯინების რუსული თეატრი დღესასწაულს სოხუმელ ბავშვებს მიულოცავს. ამ დღეებში ჩვენი სტუმარია მოძმე სომხეთის საოპერო თეატრი, რომელიც თბილისელებს სადღესასწაულოდ ოპერა „ანუშს“ წარმოუდგენს.

**— როგორ ასახავენ ჩვენი თეატრები თანამედროვეობას, როგორ ეხმაურებიან ქართველი დრამატურგები საბჭოთა ადამიანების ესთეტიკური, პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდის საკითხებს?**

— თეატრისათვის თანამედროვეობის საკითხი ყველაზე მნიშვნელოვანი და ამაღლებელია. იმ შემთხვევაში კი, როდესაც თეატრი დგამს კლასიკურ ნაწარმოებს, თუ მასში არ ჟღერს დღევანდელი დღე, კლასიკა არავის არ აღელვებს და სპექტაკლი თავისთავად ნაკლებად საინტერესოა.

დრამატურგიის საკითხი თეატრის უპირველესი პრობლემაა. ქართულ დრამატურგიას ჰყავს ღირსეული წარმომადგენლები. მათი პიესები წარმატებით იდგმება როგორც რესპუბლიკის, ასევე კავშირის მასშტაბით. რამდენიმე ქართულ პიესას უცხოეთის თეატრებმაც გაუღეს კარი.

ბოლო ხანს ფრიად გაგვახარა თ. ჭილაძის დრამამ „ბუდე მეცხრე სართულზე“, რომელიც წარმატებით იდგმება დედაქალაქის, ბათუმისა და გორის თეატრებში. ასევე აღნიშვნის ღირსია ლ. თაბუკაშვილის „დარაბებს მიღმა გაზაფხულია“. ეს პიესა უკვე ორგან დაიდგა — კინოსტუდიასთან არსებულ თეატრ-სახელოსნოსა და რუსთავის თეატრში. მასში პოეტურად არის ასახული ახალგაზრდობის ურთიერთობა, მათი ტკივილები და წინააღმდეგობანი.

მოწონება ხვდა გ. ბათიაშვილის პიესას — „ლალი, სიყვარული და სხივები“, რომელიც მოსკოვში გოგოლის სახელობის თეატრში იდგმება და მაყურებელმა გულთბილად მიიღო.

**— რა შემოქმედებითი კავშირები აქვს ქართულ თეატრს მოძმე რესპუბლიკებისა და უცხოურ თეატრებთან?**

— ფრიად საყურადღებო ფაქტი მოხდა მახარაძეში: გენიჩესკისა და მახარაძის რაიონებს შორის სოციალისტური შეჯიბრებისა და მეგობრობის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად მახარაძის თეატრმა წარმოადგინა ა. კოლომეიცის პიესა „ველური ანგელოზი“ (თარგმანი ჯ. ასათიანისა), რომლის დასადგმელად მოიწვიეს უკრაინის სსრ სახალხო არტისტი ნ. რავიცკი და უკრაინის სსრ დამსახურებული მხატვარი ვ. ბალაში.

ამჟამად თბილისში იმყოფება ბერლინის „კომიშე ოპერის“ დამდგმელი ჯგუფი, რომელიც ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრში ამზადებს პერგოლეზის „სევილიელ დალაქს“. ამ სპექტაკლს თბილისელები ივლისის პირველ რიცხვებში ნახავენ.

**— რას გვეტყოდით ქართველ რეჟისორთა სამოქმედო ასპარეზზე რესპუბლიკის გარეთ, საერთოდ მათი დადგმების გეოგრაფიაზე?**

— ქართველი რეჟისორები აქტიურად მონაწილეობენ საბჭოთა კავშირისა და უცხოეთის თეატრალურ ცხოვრებაში. რამდენიმე წლის წინათ ქ. სოფიაში რეჟისორმა გ. ლორთქიფანიძემ დადგა ალიოშინის „პირველი აღთქმა“. ამას მოჰყვა გ. ქავთარაძის სპექტაკლი ბლაგოევგრადში — ნ. დუმბაძის „ნუ გეშინია, დედა“. ბულგარეთშივე რეჟისორმა ნ. დემეტრაშვილმა დადგა ორი სპექტაკლი ა. გეწაძის „წმინდანები ჯოჯოხეთში“ და „გზა—ყარამანს ქალი მოჰყავს!“ (ქალაქ კარჯალის თეატრში). დიდი წარმატება ხვდა პოლონეთში, კრაკოვის თეატრში რეჟისორ ს. მრევლიშვილისა და მხატვარ მ. ჭავჭავაძის მიერ დადგმულ ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძელს“.

რ. სტურუასა და თ. ჩხეიძის მიერ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქ. საარბრუკენში დადგმულ დ. კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი“ თბილისელებმაც ნახეს ამ სამიოდე წლის წინათ თბილისში გამართულ საარბრუკენის დეკადაზე. ამჟამად რ. სტურუა დიუსელდორფშია მიწვეული ა. ოსტროვსკის პიესის „შმაგი ფულების“ დადგმაზე.

ამ ზაფხულს რუსთაველის სახელობის თეატრი მონაწილეობას მიიღებს ედინბურგის ფესტივალში შექსპირის „რიჩარდ მესამითა“ და ბრეხტის „კავკასიური ცარცის წრით“.

**— დედაქალაქის თეატრალური სამყარო დიდ ინტერესს იჩენს „მეგობრობის თეატრისადმი“. რას გვპირდება იგი უახლოეს ხანს?**

— სიხარულით უნდა გაცნობოთ ის ფაქტი, რომ „მეგობრობის თეატრი“ მორიგ ვიზიტად სადღესასწაულოდ სწორედ უცხოეთის თეატრს იწვევს— 29 მარტს თბილისში ჩამოვა იუგოსლავიის ქ. ლუბლიანის ეროვნული თეატრი 75 კაცის შემადგენლობით. თბილისის ძმადნაფიცი ქალაქის თეატრი გვიჩვენებს სამ სპექტაკლს: — მიროსლავ კარლეჟის „ბატონ გლემბაის“ ჰ. იბსენის „პატარა ეიოლფს“, მოლიერის „იმპროვიზაციას ვერსალში“ და „სკაპენის ცუღლუტობას“.

**— ბოლო ხანებში ქართული თეატრის ცხოვრებაში რა მნიშვნელოვან ამბავზე გაამახვილებდით ყურადღებას, კერძოდ, რას გვეტყვით სოხუმის აფხაზური და ქართული თეატრების დაარსების შესახებ.**

— აფხაზური და ქართული თეატრების დასების თითქმის ყველა მსახიობი და რეჟისორი აღზრდილია საქართველოს რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალურ ინსტიტუტში. ორივე დასი ნიჭიერი, შემოქმედებითად მზარდი კოლექტივია. წლების განმავლობაში როგორც რეჟისორები, ისე მსახიობები და მხატვრები ერთმანეთის სპექტაკლებშიც იღებდნენ მონაწილეობას, შეწყობილად თანამშრომლობდნენ, მაგრამ დროთა განმავლობაში დასები გაიზარდა, გაიზარდა რეპერტუარიც, რამაც ლოგიკურად შეამზადა ქართული და აფხაზური დასების დამოუკიდებლად არსებობა.

**— რეჟისორი თეატრის გულია, რომელიც თეატრში იდეურ და მხატვრულ დონეს ქმნის. სწორედ რეჟისორს ევალება ზრუნვა როგორც მაღალი მხატვრული რეპერტუარისათვის, ისე ახალგაზრდა კადრების ჩამოყალიბებისთვისაც. რას იტყოდით ამის თაობაზე?**

— დღევანდელ საბჭოთა თეატრში ყველაფრისათვის პასუხისმგებელია რეჟისორი და, მით უფრო, მთავარი რეჟისორი, რომელმაც უნდა განსაზღვროს თავისი თეატრის კრედო. რეჟისორი პასუხისმგებელია არა თუ კოლექტივის, არამედ მაყურებლის, ესე იგი ხალხის წინაშეც.

მინდა ორიოდე სიტყვა ვთქვა რაიონული თეატრების შესახებ; ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ხელმძღვანელებმა მეტი ყურადღება და ზრუნვა უნდა გამოიჩინონ დედაქალაქიდან ჩასული კადრების მიმართ, ხელი შეუწყონ რეჟისორსაც და მსახიობსაც, რათა თეატრი ყველგან შევინარჩუნოთ, თანაც თანამედროვე და საინტერესო თეატრი!

**— თქვენს უახლოეს შემოქმედებით გეგმებზეც ხომ არ გვეტყოდით ორიოდ სიტყვას?**

— ამ დღეებში ოპერისა და ბალეტის თეატრში შევუდგები ჯ. ვერდის გენიალურ ოპერაზე — „ოტელოზე“ მუშაობას, სპექტაკლის დირიჟორი იქნება საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, ცნობილი უკრაინელი მუსიკოსი ს. ტურჩაკი.

მოსკოვის თეატრებშიც ვარ მიწვეული რამდენიმე დადგმისათვის.

დიდ დროს ვახმარ მომავალი თაობის აღზრდის საქმეს თეატრალურ ინსტიტუტში, რაც უზომო სიხარულსაც მანიჭებს.

ჩემი უდიდესი სურვილია, თეატრალური საზოგადოების ბაზაზე შევქმნა ახალგაზრდული ექსპერიმენტული სტუდია.

---



27 მარტი თეატრის საერთაშორისო დღეა

- **„თეატრი — ბავშვებს“, — ასეთია წლევანდელი თეატრის საერთაშორისო დღის დევიზი.**
- **თანამედროვეობა თეატრის სარეპერტუარო პოლიტიკის საფუძველი**
- **ქართული სცენის ოსტატთა საერთაშორისო მერიდიანები.**

---

## მიეძღვნა „ყამირს“

**თეთრიწყაროში** გაიხსნა სპეციალიზებული წიგნის მაღაზია. წიგნის მეგობართა საზოგადოებრივ საბჭოსთან ერთად მაღაზიის მუშაკებმა შეიმუშავეს თემატური გამოფენების, მკითხველებთან შეხვედრების ვრცელი გეგმა. ამ დღეებში გაიმართა ლ. ი. ბრეჟნევის წიგნის „ყამირისადმი“ მიძღვნილი მკითხველთა კონფერენცია. (საქინფორმი).

---

**ქართული ჩაის კვირეული**

# მეთოთხმეტე გაზაფხული

**შემდგომი მარშრუტი — ირკუტსკი, ბამი**

**გაზაფხულის** საამო დღეებია, თვალს ახარებს მხრებგაშლილი თბილისი, მისი შემოგარენი, აყვავილებული მიდამო. ბუნების ამ სახეცვლილებას თითქოს სისხლხორცეულად ერწყმის ქართული ჩაის კვირეული — მიმზიდველი, ტრადიციული. დიახ, მეთოთხმეტე გაზაფხულს ითვლის ჩვენებური ჩაის დღეები არა მარტო რესპუბლიკაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

მოსკოვი, ალმა-ათა, კიევი, სვერდლოვსკი და კიდევ რამდენი ქალაქი მოიარა ქართველ მეჩაიეთა ნახელავმა. მაისის პირველი რიცხვებიდან იგი ირკუტსკსა და ბამს ეწვევა. ჩაის სპეციალისტები — „ჩაის სახლის“ დირექტორის მოადგილე თ. ბებურიშვილი და გაერთიანება „საქართველოს ჩაის“ ინჟინერი ი. დადეშქელიანი გვიამბობენ, თუ როგორი მოუთმენლობით ელოდებიან ირკუტსკელები და ბამელები, მათ შორის ჩვენი თანამემამულეებიც ქართული ჩაის კვირეულს თავიანთ მიწაზე.

ჩვენში, კერძოდ თბილისში, ეს ზეიმი გუშინ დაიწყო და 1 აპრილამდე გასტანს. ზეიმი აღინიშნება „ჩაის სახლში“, რესტორნებში „არაგვში“, „დიდუბეში“, „ეკრანში“. მანამდე კი მთელი კვირის მანძილზე კაფეებში, საწარმოთა სასადილოებში, სკოლებსა და დიდ სავაჭრო ობიექტებში მოეწყობა ფართო ასორტიმენტის ჩაის გამოფენა-გაყიდვა, დეგუსტაცია.

მობრძანდით, იგემეთ ქართული ჩაი!



**სტუმრად... სახინკლეში!**
**ვ. კუციას ნახატი.**

---

**ვემსახურები საბჭოთა კავშირს!**

# შვილი ჯარშია

**მადლობის წერილები სამხედრო ნაწილებიდან**

**სამშობლოს** სიყვარული და ერთგულება, მისი სუვერენიტეტის დაცვა და პატრიოტიზმი ყოველი საბჭოთა მოქალაქის უპირველესი და წმიდათაწმიდა მოვალეობაა. ამ კეთილშობილურ და საამაყო მოვალეობას მუდამ პირნათლად იხდიდა და იხდის ჩვენი სახელოვანი ახალგაზრდობა, რომელიც ჯარის ნაწილებში წრთობის დიდებულ სკოლას გადის.

დამკვიდრდა კარგი ტრადიცია — სამხედრო ნაწილის მეთაურთა და ჯარისკაცთა მშობლებს შორის დამყარებულია მჭიდრო კონტაქტი — ნაწილებიდან მოდის მადლობის წერილები, სადაც ლაპარაკია სამშობლოს დამცველთა მაღალ მორალურ თვისებებზე, ოჯახსა და სამხედრო ნაწილში მიღებული აღზრდის ურთიერთ კავშირზე.

აი თუნდაც ერთ-ერთი მათგანი:

ყვარლის რაიონი, სოფელი მთისძირი, ეთერ და შალვა პოსოშვილებს. სამხედრო ნაწილის მეთაურთა შემადგენლობა მოხარულია გაცნობოთ, რომ თქვენი შვილი ივანე ახალგაზრდობის იმ ჯგუფს მიეკუთვნება, რომლებიც მუდამ მოწინავეთა რიგებში დგანან როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკური მომზადებით, ამასთანავე მაღალი შედეგები აქვთ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში. დისციპლინამ, შრომისმოყვარეობამ და თავმდაბლობამ ივანეს მეგობართა შორის ავტორიტეტი მოუპოვა. გვჯერა, რომ ეს თვისებები მას მთელი ცხოვრების მანძილზე გაჰყვება. ოჯახში მიღებულმა კარგმა აღზრდამ სამხედრო ნაწილშიც იჩინა თავი. გმადლობთ ასეთი შვილის აღზრდისათვის. გისურვებთ წარმატებას შრომასა და ცხოვრებაში.

თითქმის ასეთივე სახის მადლობის წერილები მიიღეს მებრძოლების თემურ გრატიაშვილის, მალხაზ კაპანაძის, აკაკი ბეკურაშვილის, ავთანდილ კოკაშვილის, გიორგი პაპინაშვილის, ავთანდილ გილიგაშვილის, თეიმურაზ თვაურის, ვაჟა თოროზოვის, თამაზ გოცირიძის, ვასილ ვაზაგაშვილის, როინ ცხვედიანის, ნიკოლოზ ნასყიდაშვილის, სიმონ ყურაშიძის, ზონდო კუსიანის, თეიმურაზ მესროპოვის, იური ხარშილაძის, იოსებ კაპანაძის, ილია აბელაშვილის, ვალერი სულაძის, ზურაბ კანდელაკის, ალექსი რაზმაძის, კახა ფავლენიშვილის, თენგიზ ჭუჭულაშვილის, ზურამ ბლიაძის, გია კავილაძის, ზაზა სიხალაშვილის, თამაზ გაგნიძისა და გელა იაძის მშობლებმა, რომლებიც გახარებული არიან შვილთა წარმატებით.

**ვ. გაბელია.**



**15 წელია,** რაც სოხუმის სამედიცინო ოპტიკის სალონი შეიქმნა. მისმა კოლექტივმა დამსახურებული ავტორიტეტი მოიპოვა. სალონის ინიციატივით მისი თანამშრომლები რესპუბლიკური საავადმყოფოს ოფტალმოლოგებთან ერთად აფხაზეთის შორეული სოფლების მშრომელებს ეწვევიან ხოლმე. ექიმების რეცეპტების მიხედვით პაციენტებს იქვე უმზადებენ სათვალეს.

**სურათზე:** ოპტიკოსები ლ. ჯინჯოლია და ნ. გვალია მუშაობის დროს.

**ი. მოსონელიძის ფოტო.** (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

# ტყე გვიბრუნდება

**გასულ** შაბათსა და კვირას თბილისელები კვლავ გამოვიდნენ შაბათობაზე მშობლიური ქალაქის გასამწვანებლად, მისი შემოგარენის გასაცოცხლებლად.

დილიდანვე ორჯონიკიძის რაიონის უმაღლესი სასწავლებლების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და ტექნიკუმების ათასობით ახალგაზრდა და პედაგოგ-მასწავლებლები მუშაობდნენ რაიონის სკვერებსა და პარკებში, ხრიოკ ადგილებსა და ქალაქის სანახებში. ყველგან დიდი ენთუზიაზმი სუფევდა. ისინი ხალისიანად შრომობდნენ, ბარავდნენ და სხლავდნენ ნორჩ ნერგებს, იღებდნენ ორმოებს, რგავდნენ ფიჭვსა და კედარს, იფანსა და ნუშს, ნაძვსა და მუხას.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასობით სტუდენტი და პროფესორ-მასწავლებელი ეწვია მაღლივი კორპუსის ტერიტორიას. აქ, მათ მიერ ხრიოკ ადგილას გაშენებულ სკვერში, ნორჩ მცენარეებს ძირები შემოუბარეს, გაასუფთავეს ტერიტორია, დარგეს ხეხილი და ბუჩქები.

შაბათობაში აქტიურად მონაწილეობდნენ ფიზიკის, მეტალურგიის, სამთო მექანიკის კვლევითი ინსტიტუტების მეცნიერი მუშაკები და თანამშრომლები. ისინი თბილისის ზღვაზე, აგრეთვე ნუცუბიძის ქუჩის ხრიოკ ფერდობებზე, რგავდნენ მცენარეებს, იღებდნენ ორმოებს.

ვაჟა-ფშაველას ძეგლთან ახლად შექმნილ სკვერს თავს დასტრიალებდნენ სამრეწველო-ეკონომიკური ტექნიკუმის მოსწავლეები და პედაგოგები.

ბაგებში სავაჭრო და კულინარული სასწავლებლის ახალგაზრდობა გამწვანების რაიონული კანტორის მუშაკებს ეხმარებოდა ყვავილებისა და ბუჩქების რგვაში.

ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტებისა და თანამშრომლების ერთმა ჯგუფმა იმუშავა ლისის ტბაზე გაშენებულ პარტიზანის პარკში, რომელსაც ისინი შეფობას უწევენ, მეორემ — ნუცუბიძის ქუჩის ფერდობების გამწვანებაზე.

დიდი პატრიოტული საქმე თანდათანობით ფრთას შლის.

**ლ. ტატიშვილი.**

---

## ყაბახი

# მასპინძლობს სიმფეროპოლი

**უმაღლესი** ლიგის ფეხბურთელთა გუნდების 42-ე საკავშირო ჩემპიონატის მეორე ტურის მატჩები გაიმართება 2 აპრილს. მანამდე, 28 მარტს კი სსრ კავშირის ნაკრები გამართავს წლევანდელი საფეხბურთო სეზონის პირველ საერთაშორისო ამხანაგურ შეხვედრას; სიმფეროპოლში მისი მეტოქე იქნება ბულგარეთის ნაკრები. თბილისის დინამოელთაგან ამ მატჩისათვის ემზადებიან **კოსტავა, ქორიძე, დარასელია, გუცაევი და შენგელია.** სიმფეროპოლს ჩავიდნენ აგრეთვე **გონტარი, ბუბნოვი, მახოვიკოვი და გაზაევი** (ყველანი — მოსკოვის „დინამო“), **ბესონოვი და ბლოხინი** (ორივე— კიევის „დინამო“), **გავრილოვი** (მოსკოვის „სპარტაკი“), **აჭემი** (ცსკა), **დეგტიაროვი** (დონეცკის „შახტიორი“), **პრიგოდა და ჟუპიკოვი** (ორივე — „ტორპედო“).

# დღეს, ბიდგოშჩში

**მომავალი** საზონათაშორისო ტურნირის ორი ახალგაზრდა ქართველი მონაწილე — ნინო გურიელი და ნანა იოსელიანი იწყებენ მზადებას ამ მეტად საპასუხისმგებლო შეჯიბრებისათვის. ამ მზადების პირველი ეტაპი იქნება საერთაშორისო ტურნირი ბიდგოშჩში (პოლონეთი), რომელიც დღეს იწყება. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ბიდგოშჩის შარშანდელ ტურნირში ნინო გურიელმა ბრწყინვალე გამარჯვება იზეიმა.

ქართველი ოსტატების ძირითადი მეტოქეები აქ იქნებიან დიდოსტატები ზატულოვსკაია, (სსრ კავშირი), ლემაჩკო (ბულგარეთი), საერთაშორისო ოსტატები ფოისტელი, ჰოფმანი (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) და სხვები.

# დაწინაურდნენ მოსკოველები

**თბილისში** გრძელდება მოჭადრაკეთა ოთხი გუნდის ორწრიანი მატჩ-ტურნირი. მეორე ტურში ლენინგრადელებთან მატჩში საქართველოს გუნდის ლიდერი გიორგაძე შავებით ოსტატ ვოროტნიკოვთან მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა და წააგო. გურგენიძემ, რომელიც ოსტატ ლუკინს ხვდებოდა, შუა თამაშში დაჰკარგა ფიგურა და დანებდა. ეს დანაკლისი აინაზღაურეს გუფელდმა, რომელმაც მოუგო ოსტატ ფაიბისოვიჩს და ზაიჩიკმა, რომელმაც დაამარცხა ოსტატი ერმოლინსკი. ალექსანდრია მოულოდნელად დამარცხდა ლენინგრადის ჩემპიონ, ოსტატობის კანდიდატ კრუჩინოვთან. ჯერჯერობით ანგარიშია 3:2 ლენინგრადელთა სასარგებლოდ. გაფრინდაშვილ-პოლოვოდინის, უბილავა-გლიანეცის, ჩხეიძე-იუდასინის და ხუგაშვილ (იგი მსოფლიოს ჩემპიონ ჩიბურდანიძეს ცვლიდა)-ლევიტინის პარტიები გადაიდო.

მოსკოველები დაწინაურდნენ ლიტველებთან შეხვედრაში — 5:2 (ორი პარტია გადაიდო). პირველ დაფაზე მსოფლიოს ექს-ჩემპიონი სმისლოვი ყაიმზე შეუთანხმდა დიდოსტატ გიპსლისს.

ორი ტურის შემდეგ 9 ქულით პირველ ადგილზეა მოსკოვის გუნდი, რომელსაც 5 გადადებული პარტიაც აქვს.

**გ. გამრეკელი.**

# სატურნირო ორბიტაზე

**ხელბურთი.** ქალაქ მინდენში (გფრ) გაიმართა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების პირველი ნახევარფინალური შეხვედრა ადგილობრივი „აინტრახტისა“ და კიევის „სპარტაკის“ ქალთა გუნდებს შორის. გაიმარჯვეს კიეველებმა ანგარიშით 19:7. განმეორებითი მატჩი კიევში გაიმართება 31 მარტს. კაუნასში კი ადგილობრივი „ჟალგირისის“ ქალთა გუნდმა ევროპის ქვეყნების თასის მფლობელთა თასის გათამაშების პირველი ნახევარფინალური მატჩი გამართა ბუდაპეშტის „ფერენცვაროშთან“ და გაიმარჯვა — 17:14. განმეორებითი შეხვედრა გაიმართება ბუდაპეშტში 29 მარტს.

**თავისუფალი ჭიდაობა.** კიშინიოვში დამთავრდა ცნობილი რუსი მოჭიდავის ი. ზაიკინის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტრადიციული მეცხრამეტე საკავშირო ტურნირი. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ლენინგრადის, სომხეთის, აზერბაიჯანის, ტაჯიკეთის, ესტონეთის, საქართველოს, უკრაინისა და მოლდავეთის გუნდები. საქართველოს ნაკრების წევრთაგან ყველაზე დიდი წარმატება მოიპოვა სოხუმელმა რ. ხუტაბამ. იგი თავის წონითს კატეგორიაში უძლიერესი გახლდათ. გუნდური პირველობა მოიპოვეს მოლდაველებმა. მეორე ადგილზე გავიდა ლენინგრადის გუნდი, მესამეზე — სომხეთის ნაკრები.

---

## ტელევიზია

### 27 მარტი

**პირველი პროგრამით**

09.50 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 17.00 — აბიტურიენტთათვის — ქართული ენა (ფ.), 17.30 — განცხადებები (ფ.), 17.35 — შევისწავლოთ ინგლისური ენა, 18.05 — მოსწავლეთათვის — „გზა მეცნიერებისაკენ“, 18.45 — „გავუფრთხილდეთ ეროვნულ საუნჯეს“ — „სვანეთი — ხელოვნების საგანძური“, 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.), 20.00— „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 20.30 — სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „ჟან კრისტოფი“ VII სერია, პრემიერა (მ.), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — თეატრის საერთაშორისო დღე (ფ.).

**მეორე პროგრამით**

18.00 — სტუდენტთათვის — თეორიული მექანიკა, 18.45 — განცხადებები, 18.50 — მხატვრული ფილმი „სათავეები“. I სერია (ფ.), 20.05 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის. (ფ.). გამეორებით, 21.00 — კინონარკვევი.

## რადიო

### 28 მარტი

**პირველი პროგრამით**

06.10 — უკანასკნელი ცნობები, 07.30 — დილის კონცერტი, 08.35 — მსოფლიოს ხალხთა მუსიკა, 09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — ვ. აზარაშვილი — სონატა კლარნეტისა და ფორტეპიანოსათვის, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (მ.), 11.10 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა ქართულ ენაზე, 11.30 — უკანასკნელი ცნობები, 11.45 — „პარტიული ცხოვრება“ — საუბარი „წარმოების ეკონომიკა და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა“, 12.10 — უკანასკნელი ცნობები, 12.25 — „პოეზია უპირველეს ყოვლისა“ — კ. ნადირაძის ლექსები, 12.30 — მღერის ჯ. საზერლენდი, 13.30 — გაზეთ „პრავდის“ მოწინავე სტატია ქართულ ენაზე, 13.40 — ა. ჩიმაკაძე — სიმღერები, 13.55 — ამინდის ბიუროს ცნობა, 14.00 — „ლიტერატურული კითხვა“. ლ. ლეონოვი — „რუსული ტყე“ (გაგრძელება), 14.20 — ლ. ბეთჰოვენი—ტრიო ფორტეპიანოს, კლარნეტისა და ჩელოსათვის, 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — ტ. ხრენიკოვი — ოპერა „ქარიშხალში“ — ნაწყვეტები, 17.40 — ყველაზე პატარებისათვის — რადიოსადგური „ციცინათელა“, 19.15 — ქართული საორკესტრო პიესები, 19.30 — უკანასკნელი ცნობები, 20.30 — რადიოჟურნალი „თბილისი-ბაქო-ერევანი“ (ბ.), 21.00 — ძილისპირული, 21.15 — ახალგაზრდობისათვის — „თბილისის ცის ქვეშ“, 21.30 — ქართული ხალხური სიმღერები, 22.00 — „რტო სიცოცხლისა“ — ლიტერატურული რადიოკომპოზიცია, 22.30 — უკანასკნელი ცნობები, 23.30 — საბჭოთა კავშირის დიდი თეატრის მევიოლინეთა ანსამბლის კონცერტი, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

## თეატრი

### 27 მარტი

**ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური** — **ანუში** (დღისით), **ჯამბაზები** (საღამოს); **შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური** — **პეპო** (დღისით და საღამოს); **კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური** — **ბარონ მიუნჰაუზენის ცხოვრება და გარდაცვალება** (დღისით), **დიდი იმედები** (საღამოს. პრემიერა); **ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** — **ჯარში მიდის დედისერთა** (დღისით), **ლამანჩელი** (საღამოს); **მეტეხის თეატრი** — **ქართული ნოველების საღამო** (დღისით), **სამგროშიანი ოპერა** (საღამოს); **კინოსტუდია „ქართული ფილმის“ თეატრალური სახელოსნო** — **ახალგაზრდა გვარდიის სახელით.**

რედაქტორი
**გ. ბედინეიშვილი.**


**კომუნისტი**

**ჩვენი მისამართი და ტელეფონებია:**

380096 თბილისი-96, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09, პ/მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-84, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, კორესპონდენტთა ქსელის და პრესის მიმოხილვის — 93-95-98, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების— 99-78-24, ილუსტრაციის — 93-28-54, საზოგადოებრივი მისალების — 93-95-24.